1	სახნავი	0.10-0.25	1017.2 14.4	798.7 115	813.7 11.7	759.0 10.9	-218.5 -21.5	+15.0 +1.9	-203.5 -20.0		
2	სამოძღვა	0.20-0.30	293.2 4.2	191.8 2.8	156.1 2.2	147.9 2.1	-101.4 -34.6	-35.7 -18.6	-137.1 -46.8		
3	სამურავი	0.20-0.25	1478.9 21.0	1513.1 21.8	1686.3 24.2	1775.6 25.6	+34.2 +2.3	+173.2 +11.4	+207.4 +14.0		
4	მრავალწლიანი ნატაკებები	0.15-0.20	249.9 3.5	314.3 4.5	259.3 3.7	306.8 4.4	+64.4 +25.8	-55.0 -17.5	+9.4 +4.2		
5	ტკბილი	0.10-0.20	2457.3 34.8	2690.8 38.7	2834.9 40.8	2821.3 40.6	+233.5 +9.5	+144.1 +5.4	+377.6 +15.4		
6	ბურქანი	0.20-0.25	317.9 4.5	262.7 3.8	167.0 2.4	165.6 2.4	-55.2 -17.4	-95.7 -36.4	-150.9 -44.5		
7	ჭაობი	0.05-0.10	22.5 0.3	10.0 0.1	8.3 0.1	14.1 0.2	-11.5 -51.1	-1.7 -17.0	-14.2 -63.1		
8	წყლი	0.03-0.35	106.0 1.5	141.7 2.0	118.5 1.7	147.5 2.1	+35.7 33.7	-23.2 -16.4	+12.5 +11.8		
9	გაზღი	0.25-0.35	97.8 1.4	99.4 1.4	110.0 1.6	116.2 1.7	+1.6 +1.6	+10.6 +10.7	+12.2 +12.5		
10	შენობა-ნაგებობები	0.20-0.30	56.6 0.8	104.9 1.5	120.7 1.7	98.9 1.4	+48.3 +85.3	+15.8 +15.1	+64.1 +113.2		
11	გარეუენული მდგრადი დამუშავებელი (ვარგანის დამუშავებელი)	0.35-0.85	954.5 13.5	722.0 10.4	674.6 9.7	596.5 8.6	-232.5 -24.4	-135.8 -18.8	-279.9 -29.3		

რესპუბლიკისათვის, ქვეფენილი ზედაპირის შემადგენელი მაცხოველია ტურული ტიპების ფართობების ცვლილების დინამიკა (ცხრ. I) 1955-1995 წლების განმავლობაში. საქართველოს მიწის ფონდის ე.ი. მოქმედი ზედაპირის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების მახასიათებელმა (ამჟამად იგულისხმება ფართობები) გარკვეული ცვლილებები განიცადა ძირითადად ანთროპოგენური მისეზების გამო, ცხადია შეიცვალა მათი ზედაპირების აღნაცვლიც, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეფენილი ზედაპირის რადიაციულ ბალანსში. თეორიულად აღნაცვლის მნიშვნელობა 0-დან 1-მდე იცვლება. ბუნებრივ პირობებში მისი სიდიდე დამოკიდებულია ქვეფენილი ზედაპირის რაობასა და მის ფიზიკურ მდგომარეობას. აღნაცვლის მნიშვნელობები სხვადასხვა სახის ქვეფენილი ზედაპირისათვის მოცემულია შრომაში [5]. რომლის თანახმადაც მუქი ნიადაგებისათვის იგი 0,05-0,10, წიწვიანი ტყებისათვის 0,10-0,15, ხოლო ფოთლოვანისათვის 0,15-20, ველმინდერებისათვის 0,15-0,25 და ა.შ. გამორუცებული მიწების ზედაპირის აღნაცვლი როგორც ვხედავთ (ცხრ. I) დიდ ფარგლებში იცვლება, იმის გამო, რომ იგი შეიძლება იყოს კლიმატი, ყინულოვანი ან ერთწილებული, რომელთაც, პრაქტიკულად, მცენარეულ-ნიადაგობრივი საფარი არ გააჩნიათ.

ჩეენს მიერ გამოყოფილ ქვეფენილი ზედაპირის თურთმეტივე ტიპს მეტნაკლებად განსხვავებული ფიზიკური თვისებები (ტემპერატურა, სინოტივე, აღნაცვლი და ა.შ.) გააჩნიათ.

ისინი თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებზე წარმოქმნიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ აღნაცვლობრივ კლიმატს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მთელი საქართველოს თანამედროვე კლიმატს. ბუნებრივია, რომ თითოეულის ცვლილებები გამოიწვიეს მთელის ცვლილებსაც, რაც უდარო აისახება საქართველოს კლიმატის ცვლილების ენერგო-ბალანსურ მოდელში.

საქართველოს ქვეფენილი ზედაპირის განსხვავებული ტიპების, უფრო ზუსტად კი მიწის ფონდის ძირითადი ერთეულების ფართობების საშუალებით, გაანგარიშებულ იქნა რესპუბლიკის მიწის ბალანსი 1955, 1970, 1990 და 1995 წლებისათვის (ცხრ. I). 1990 წლის მონაცემების თანახმად მთელი ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ტყეებს (41%), საძოვრებს (24%), სახნაეს (12%) და გამოუყენებელ მიწებს (10%). რესპუბლიკის ტერიტორიის მცირე ნაწილი კი დაკავებული აქვთ მრავალწლიან ნარგავებს (4%). ცალ-ცალკე სათიბს, ბუჩქნარს, გზებს და შენობა-ნაგებობებს დაახლოებით ორ-ორი% და ძალზედ მცირე - ჭაობებს (0,1%).

როგორც ვხედავთ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი (41%) ლანდშაფტის მნიშვნელოვან კომონიტეტს - მცენარეულ საფარს, კერძოდ ტყეებს უჭირავს, რომლის ძირითად ნაწილს მთის ტყეები შეადგენს

(უმეტესად დასავლეთ საქართველოს 25<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის მოსი ფერდობებზე). ტყიანობით, განსაკუთრებით გამოირჩევა გულრიფფის უსაკუთრება (61%), ქვედის (77%), ხელვაჩაურის (59%), ბორჯომის (57%) და სწავა რაიონები. ტყის მცირე ფართობები გააჩნია წალკას, მისი ტყიანობა მხოლოდ 9%-ია, საგარეჯოსი - 2%, ხილნაღის - 2% და ა.შ.

საქართველოში ტყის ფართობები 1955-1990 წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაახლოებით 378 ათასი ჰა (ცხრ.I). ეს აისწნება იმ გარემოებით, რომ საკვლევ პერიოდში ტყის გაშენება და მისი მოვლა-პატრონობა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აუკანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მეოცე საუკუნის ორმოცდათიანი წლებიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ტყის, როგორც სათბოძენერგეტიკულ რესურსად გამოყენება, საქართველოში საწვავი აირის მოწოდებასთან და ნაკოთობის ამოღებასთან დაკავშირდებით. ამას გარდა, ამ პერიოდში შეიქმნა მთელი რიგი ნაკრძალები, მაგალითად ბაზანური (1970, ახმეტის რაიონი), ალგეთის (1965, თეთრიწყაროს რ-ნი), დუშეთის (1980, ახმეტის რ-ნი), და ა.შ. რომლებმაც უთუოდ ხელი შეუწყო ტყების მოვლა-პატრონობის საქმეს. ამრიგად, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულს მისი საერთო ფართობი 2834.9 ათასს ჰა-ს შეადგინდა. რაც 1955 წლთან შედარებით 15.4%-ით მეტია. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ტყის მასივები მესტიის (37 ათასი ჰა-ით), წყალტუბოს (24 ათასი ჰა-ით), მცხეთის (19 ათასი ჰა-ით) და სხვა რაიონებში, თუმცა ზრდის ამ ფონზე აღვილი ჰქონდა მის შემცირებასაც მაგალითად ყაზბეგის, ბორჯომის და განსაკუთრებით დუშეთის რაიონში (27 ათასი ჰა-ით).

1995 წლის მონაცემებით, ტყის ფართობები სულ რაღაც 5 წლიწადში მიინიჭება 13,6 ათასი ჰა-ით შემცირდა (ცხრ.I). ეს გამოიწვია იმ პოლიტიკურმა და ნეგატიურმა ეკონომიკურმა პროცესებმა, რომელიც მოჰყავა საბჭოთა კავშირის დაშლას 1991 წელს. ეკონომიკური კავშირების გაწყვეტასთან ერთად შეწყდა საქართველოში გარედან საწვავი აირისა და ნაკოთობის მოწოდება, რამაც ქავებანა მიმე ენერგეტიკულ კრიზისში ჩააგდო, რომლის დროსაც სწორედ ტყე გადაიქცა ძირითად საწვავ რესურსად. ამასთან, ტყეების ულმობელი ჭრა განაპირობა აგრეთვე მისი საექსპორტო მიზნებით გამოყენებამაც.

1955-1990 წლების განმავლობაში ბუჩქნარების ფართობი 44.5%-ით შემცირდა. 1990 წლის მონაცემებით, იგი მხოლოდ 167 ათას ჰა უდრიდა (ცხრ.I).

მნიშვნელოვნად შემცირდა, დაახლოებით 20%-ით, სახნავი მიწებიც-ოთხმოციანი წლების ბოლოს იგი 813.7 ათასს ჰა შეადგინდა. აღსანიშნავია, რომ ქლების ეს ტენდენცია ბოლო წლებშიც შეიმჩნევა, რასაც სახიფათ შედგებისკენ მიკვეარო. ინტენსიურ ეროვნიულ პროცესებს მოჰყავა ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვანი ქვეფენილი ზედაპირის საგრძნობი



## ტრანსფორმაცია, ძირითადად საძოვრებად და ტექნოგენურ ლანდშაფტები ტებად.

1995-1990 წლებში გამოუყნებელი მიწების დინამიკაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში აღგილი ჰქონდა მის შემცირებას დაახლოებით 29%-ით, რაც ბოლო ხუთ წელშიც დაფიქსირდა (ცხრ.I). მიწის ამ კატეგორიაში შედის მცენარეულ და ნიადაგობრივ საფარის მოქლებული ქეფებითი ზედაპირები - კლდეების, ხრამების, მყინვარებისა და სხვათა სახით. აგრეთვე ტერიტორიები დაპავებული კარიერებით, შახტებით და ა.შ. აქვდან გამომდინარე, ამ “ბედლენდების” გამოუყნება სასოფლო-სამეურნეო მიწით შეუძლებელია, თუმცა რეუსულტივიზაციის შემდეგ (რაც თავის მხრივ დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს), შეიძლება მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გადაქცევა საძოვრებად, მოედნებად, პარკებად და ა.შ.

ამრიგად, რესპუბლიკაში გამოუყნებელი მიწების, სახნავისა და განსაკუთრებით სათიბის (46,8%-ით) შემცირებამ უთუოდ გამოიწვია საძოვრების ზრდა. თუ იგი 1955 წელს 1478,9 ათასს ჰა-ს შეადგენდა, 1990 წლისათვის მისი ფართობი 1686,3 ათასს ჰა-მდე გაიზარდა, ე.ი. 14%-ით მოიმატა.

ასევე იხრდება შენობა-ნაგებობების ქვეშ მოქცეული მიწის ფართობებიც. თუ, 1955 წელს იგი მხოლოდ 56,6 ათასი ჰა იყო, 1990 წლისათვის მისი ფართობი ორჯერ გაიზარდა, მატების ტენდენცია ახასიათებს ბოლო წლებსაც (ცხრ.I), რაც ქვენის ურბანიზაციულმა პროცესებმა განაპირობა.

მიწის ფართობები წლის ქვეშ 1955 წელს 106 ათას ჰა-ს შეადგენდა. მომდევნო 35 წლის განმავლობაში იგი 11,8%-ით გაიზარდა. უკანასკნელ წლებშიც შეიმჩნევა მისი მნიშვნელოვანი მატება 1990 წელთან შედარებით, დაახლოებით 29 ათასი ჰა-თი (ცხრ.I). ეს პროცესი უნდა აისხნას უკანასკნელ ათწლიურებში მოელი რიგი წყალსაცავების (ჟინვალის, ჯვარის, სიონის, და სხვ.) შექმნით.

იხრდება აგრეთვე მიწის ფართობები გზების ქვეშ. თუ 1955 წელს იგი 97,8 ათასი ჰა იყო, 1990 წლისათვის 110 ათასი ჰექტარი შეადგინა. ქვეფებითი ზედაპირის ეს კატეგორია ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბოლო წლებშიც (ცხრ.I). ასეთ დინამიკას ნამდებილ უნდა ჰქონდეს ადგილი რესპუბლიკის გზათა მშენებლობის გაზრდის შედეგად. საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო როგორც საავტომობილო, ასევე სამილსადგნო მაგისტრალების მშენებლობას.

საქართველოში ჭაობებს ყველაზე დიდი ფართობი (დაახლოებით 22,5ათასი ჰა) 1955 წელს ეპავათ, რომელიც 1990 წლისათვის 63%-ით შემცირდა. ამჟამად მელიორაციული ღონისძიებების შეწყვეტისა და დაჭაობებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, კოლხეთის



დიდი ჭაობების გარეული ნაწილი განიცდის მეორად დაჭაობებას და ამიტომაც, ბოლო წლები მათი მატების ტენდენციით აღინიშნება დაახლოებით 5,8 ათასი ჰექტარით.

1990 წელს მრავალწლიანი ნარგავების (ძირითადად ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების) ფართობი 259,3 ათას ჰა-ს შეადგენდა. იგი 1955 წელთან შედარებით მხოლოდ 4.2%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც 60-70-იან წლებში ეს მატება 25.0%-ს აღემატებოდა (ცხრ.1.).

საქართველოს (ცალკეული ადგინისტრაციული რაონებისათვის გამოთვლილი შესაბამისი მაჩვენებლები და მათი ცვლილება დროში განსხვავებულია, რაც აღილობრივი გეოგრაფიული პირობებით - (რელიეფი, კლიმატი, მცენარეულობა და სხვ) აიხსნება, და აგრეთვე იმ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციით, რომლითაც ესა თუ ის რაიონი ხასიათდება.

როგორც სტატისტიკური მასალების ანალიზმა გვიჩვენა ქვევენილი ზედაპირის ცალკეული ტიპები ტრანსფორმირებულია განსაკუთრებით დაბალ ტაქსონომეტრულ ერთეულებში. კერძოდ მთათაშორის ბარში, რომელიც მოქცეულია საქართველოს ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიან ზონებს შორის და უკირავს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 2/5. იგი საქმაოდ ვიწროა თავის ცენტრალურ ნაწილში და უართვედება (აგრეთვე დაბლდება) როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით, ბარის ზონას მერიდიანული მიმართულებით კვეთს ლიხის, ანუ სურამის ქედი, რომელიც წარმოადგენს როგორც ოროგრაფიულ, ასევე კლიმატურ “ქველს” დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზორის.

მთათაშორისი ბარი მეურნეობრივად კარგადაა ათვისებული, რაც იმას ნიშავს, რომ იგი დიდ ანთროპოგენულ სტრუქს განიცდის. აღსანიშნავია, რომ აქ ცხოვრობს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 9/10; აქ მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მიწები სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით. აქა თავმოყრილი საქართველოს სოფლების, და მითუმეტეს ქალაქების უდიდესი ნაწილი და სწორედ აქ გადის მაგისტრალური საკომუნიკაციო ხაზების ხშირი ქსელი [2]. ამ ბჟობრაფიულ არეალში, კერძოდ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, როგორიცაა გურია, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი (500-600 მ. სიმაღლემდე). აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ და ზომიერ სუბტროპიკებში კი - კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და ნაწილობრივ მესხეთ-ჯავახეთი 600-700 მ-მდე.

ზემოაღნიშნული ანთროპოგენური ფაქტორების გამო, სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მიმდინარეობს ქვევენილი ზედაპირის სხვადასხვა ტიპის ტრანსფორმაცია (ერთის შეცვლა მეორით), რაც მათი ფართობების ცვლილებითაც დგინდება. ამ პროცესების შეჩერება თითქმის შეუძლებელია მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის



ზრდის გამო. შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგსაფარის ტრანსფორმაციაში ნებატიური ცვლილებები შეიტანა ურბანიზაციის პროცესმა, რა გარეული გარეულ ტერიტორიებზე მოჰყვა ახალი კლიმატის - "ქალაქის" კლიმატის ჩამოყალიბება მთელი თავისი ნიუანსებით. პირველ ყოვლისა, ეს გახლავთ შემოგარენთან შედარებით პაერის ტემპერატურის მატება 0,2-0,3°C-ით. ამ ნაზრდს შეიძლება "ანთოროგენური სითბო" ვუწოდოთ. და მას, უთუოდ გარევეული წილი შეაქვს XX საუკუნის უკანასკნელ ათწლიურებში დაფიქსირებული ათბობის პროცესში.

შშრალი ტერიტორიების მორწყების, ან ჭაობების ამოშრობის შემდეგ, ცხადია ქვეფენილი ზედაპირი პოზიტიურ ცვლილებებს განიცდის. ამის ნათელი მაგალითია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხეთის ჭაობების ამოშრობა და აღმოსავლეთ საქართველოში (სამორის კელების) ეფექტური მორწყება, რომელიც სამწესაროდ XX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის შეწყდა.

ამრიგად, სხვადასხვა ტიპის ქვეფენილი ზედაპირის უართობების დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ უკანასენელი 3-4 ათეული წლის მანძილზე მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს კი ძირითადად განსახლებისა და სამრწველო წარმოების ზრდამ განაპირობა, როდესაც დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსიური გამოყენება სხვა მიზნით. 1955-1990 წლების განმავლობაში მომხდარი ცვლილებების ასახვას (თუმცა ძალიან მიახლოებით) შევეცადეთ მე-2 ცხრილის დახმარებით.

ცხრილი 2.

### ქვეუნილი ზედაპირის შემადგენელი ტიპების უართობების ცვლილება (1955-1990 წლებში)

№	ტიპი	უართობების ცვლილება	რაოდენობა (ათასი ჸა)
1	სახნავის	კლება	203
2	სათიბის	კლება	137
3	საძოვარის	მატება	207
4	მრავალწლიური ნარგავების	მატება	9
5	ტყების	მატება	378
6	ბუჩქნარის	კლება	151
7	ჭაობების	კლება	14
8	წყლის ზედაპირის	მატება	12
9	გზების	მატება	12
10	შენობა-ნაგებობების	მატება	64
11	გამოუყენებული მიწების	კლება	280



ქვეფანილი ზედაპირის თითოეული სტრუქტურული ერთეულით შემთხვევაში იქნება ეს თუ სახნავი, საძოვარი თუ შენობა-ნაგებობანი და-კ. რომელთაც განსხვავდული ფიზიკური თვეისებები გააჩნიათ, ქმნის მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კლიმატს, რომელიც გარკვეულ რადიუსზე ერცელდება. თითოეული ამ “მოქმედი” ქვეფანილი ზედაპირების ფართობების ცვლილება. ე. ერთი ტიპის ტრანსფორმაცია მეორით, ცხადია, გამოიწვევს მისთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილებებსაც. ამ უკანასკნელთა ინტეგრალური ჯამი “სათბურის ეფექტთან” ერთად, წარმოადგენს მთელი საქართველოს კლიმატის ცვლილების სიღიღეს, რამაც პაერის წლიური ტემპერატურის მრავალწლიური ნორმის 0,3-0,5°C-ით მატება გამოიწვია უკანასკნელ ათწლეულებში და რომელიც ენერგო-ბალანსურ მოდელშიც აისახება.

### ლიტერატურა

1. მუმლაძე დ. - ბუნების კომპონენტები და მათი ეკოლოგიური ასექტები. ქონ. ურთიერთ. თბილ.-ის სახელ. ინსტ.-ის შრ., ტ. 1, 1997.
2. ჯაოშვილი ვ. - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. თბ., 1996.
3. ლანდშაფტები რუს. საქართველოს სსრ. ატლასი. თბილისი-მოსკოვი. 1964.
4. Альпы-Кавказ - М., Изд. "Наука", 1980.
5. Климатология - Гидрометиздат, Л., 1989.
6. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. Тб., 1991.
7. Уклеба Д.Б. - Антропогенные ландшафты Грузии и их классификация - В сб., "Человек и природа в географической науке". Изд. "Мецнериба", Тб., 1984.

Д.Г. Мумладзе, И.А. Шенгелия

## Антропогенные изменения подстилающей поверхности в Грузии (за последние десятилетия)

### Резюме

В определении трансформации подстилающей поверхности использование данных по динамике изменения площадей структурных единиц земельного фонда можно считать новым подходом в изучении изменений ландшафтов, а затем и климата.

На территории Грузии выделяется 11 типов, или же 11 структурных единиц подстилающей поверхности с разными физическими свойствами и, следовательно, их "специальными" климатами.

В связи с активизацией антропогенных факторов, значительно изменились площади вышеуказанных структурных единиц.

С 1955 г. по 1990 г. сокращением площадей (на тысяча га и соответственно в %) характеризовались болота (14-63%), сенокосы (137-47%), кустарники (151-44%), пашня (203-22%) и неиспользованные земли (280-29%); а увеличением - леса (375-15%), пастбища (207-14%), многолетние насаждения (9-4%) и земли под дорогами (12-12%), водой (12-12%), домами и сооружениями (64-113%).

Трансформация одной структурной единицы в другую, естественно, вызывает изменение ее местного климата. Интегральная сумма же этих изменений, наряду с другими факторами, является причиной изменений климата в Грузии за последние десятилетия, отразившейся в энерго-тепловом балансе.

D.G. Mumladze, I.A. Shengelia

## On the Anthropogenic Change of Underlying Surface in Georgia

### Summary

The application dynamics' data describing the modification of the land stock structural units for the estimation of underlying surface transformation, may be considered as the new line of the approach to the study of landscapes change and then climate one too.

The territory of Georgia has been divided into 11 types of underlying surface, i.e., 11 structural units with different physical features and, hence, with "specific" climate.

Activation of anthropogenic factors resulted in the considerable change of the area of structural units. The 1955-1990-ies were characterized by the decrease in the area (by a 1000 ha. and respectively in %) of swamps (14 - 63%), mowings (137 - 47%), shrubs (151 - 44%), arable (203 - 20%) and unused lands (280 - 29%); but by the increase in the area of forests (378 - 15%), pastures (207 - 14%), perennial plants (9 - 4%) as well as roads (12 - 12%), water surface (12-12%) and buildings (64 - 113%).

Transformation of one type a structural unit into another one, naturally, results in local climate change. As for the integral sum of these changes, it presents the reason, side by side with the other factors, causing the climatic change in Georgia for last decades. It has had an affect on the energy-heat balance.

**არიდიზაციის პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში,  
როგორც გლობალური დათბობის  
ერთ-ერთი გამოვლინება**

1977 წლის გაეროს კონფერენციისათვის, რომელიც მიმდვნა მსოფლიო გაუდაბრუების პრობლემებს, შედგნილი იქნა მსოფლიო არიდულობის რეკა. მასზე სიმშრალისა და დანესტიანების მიხედვით მსოფლიო დაყოფილია 14 კატეგორიად. საქართველო მოქცეულია პირველ კატეგორიაში, რომელიც გულისხმობს მუდმივად ნოტიო კლიმატურ პირობებს, სადაც თითქოს გვალვას არ აქვს ადგილი. სინამდვილეში, როგორც ვიცით, ეს ასე არ არის. საქართველოში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, საქმაოდ ხშირია გვალვიანი წლები. საქმარისია დავასახელოთ 2000 წლის ზაფხულის გვალვა, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში კეოლოგიური კატასტროფაც კი გამოიწვია. მართალია, აღნიშნული წლის იანვარში არმოსფერული ნალექები ნორმაზე მეტი და ზოგან ნორმის ფარგლებში მოვიდა, მაგრამ შემდგენ თვეები ნალექების დეფიციტით ხასიათდებოდა. 1998 წლის ცნობილი გვალვიახან განხსნავებით, რომელიც ივლისში დაიწვიო და მთელი 4 თვე გრძელდებოდა, 2000 წლის გვალვის პირველი შედეგი უკეთ აპრილში გამოჩნდა. იენისიდან კი გვალვამ მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოიცვა. 2000 წლის იენისი ქარიანობითაც გამოირჩეოდა თბილისის აეროპორტის მონაცემებით 19 დღე ქროდა ძლიერი ქარი, რომელმაც გამოიწვია ნიაღავის სახნავი ფენის ძლიერი გამოშრობა.

კატასტროფულმა გვალვამ ურწყავ მიწებზე მკვეთრად გააუზრესა საგაზაფხულო კულტურათა ტენით უზრუნველყოფა. თითქმის მთლიანად განადგურდა შესუმზირის ნათესები, იგივე ითქმის სიმინდის და სხვა ერთწლიან კულტურათა ნათესებზე; ძლიერ გაუჭირდა ვაზს, უკანის მარცვლებმა დაიწყეს ჰქონდა და ცვენა.

არიდიზაციის პროცესი კლიმატის თანამედროვე ცვლილების, კერძოდ დათბობის ერთ-ერთი გამოვლინებაა და განპირობებულია როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური ფაქტორებით.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ რამდენიმე ათწლიურში, ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობით (ტეის ჩეხება, ურბანიზაცია და სხვ.) გადაიქცა იმ ძლიერ ძალად, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბუნების ცალკეული კომპონენტის სიდიდესა და მათი ცვლილების დინამიკას. ამრიგად, გვალვიანობის გამომწვევი პროცესები მრავალფაქტორიანი მოვლენაა და მოითხოვს კომპლექსურ კელვას. დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული:



1. პაკრის ტექნიკურისა და ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ური მსვლელობები;

2. კლიმატის ამ ორ ძირითად ელემენტებს შორის კაეშირი;

3. მათი ურთიერთდამოკიდებულება ატმოსფეროს ცირკულაციური ფორმების (W, C, E) და აგრეთვე, მზის აქტივობის ცვლილებებთან;

4. რიცხობრივად უნდა შეფასდეს ატმოსფერული ნალექების ე.ი. წელის დაფიციტი და დაღინდეს მორწყვის ნორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ მორწყვის ნორმების დაღგენას საფუძვლად უდევს დანესტრიანების ბალანსის განტოლება ( $Q-E=0$ ), ხადაც  $Q$  - ატმოსფერული ნალექებია, ხოლო  $E$  - აორთქლებლობა, ანუ შესაძლებელი აორთქლება.

ატმოსფერული ნალექები ტერიტორიის დანესტრიანების ძირითადი ფაქტორია. იგი პაკრის ტექნიკურატურასთან ერთად განაპირობებს დედამიწაზე მნიშვნელოვან ბუნებრივ პროცესებს. ამ ორი ელემენტის კომპლექსური შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქტორით აღმოსავალეთ საქართველოს პიდროთერმულ რეჟიმზე და მასთან დაკავშირებულ ბიოკლიმატური რესურსების ცვლილებაზე. ასეთი კომპლექსური მაჩვენებლის როლში შეიძლება წარმოვიდგინოთ ბ. ბუდიკოს [3] მიერ მიღებული სიმშრალის რადიაციული ინდექსი:

$$I = \frac{R}{Lr}$$

სადაც,  $R=0.0012 \sum t^0 > 10^0 + 9.9289$  არის რადიაციული ბალანსი, გამოთვლილი აქტიურ ტექნიკურატურათა ჯამებით;  $t$  - ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა მმ-ში, ხოლო  $L$  - აორთქლებაზე დახარჯული ფარული სითბო (0,597 ქალ).

აღმოსავალეთ საქართველოში სიმშრალის რადიაციული ინდექსის მრავალწლიური მსვლელობა (საშუალო ათწლიური მცოცავებით) ძირითადად თბილისის მონაცემების სინქრონულია. რაც შეეხება სიდიდეს, იგი შედარებით მაღალია ქვემო ქართლსა (გარდაბანი) და გარე ქახეთში (ელდარი), სადაც მცირე ატმოსფერული ნალექებისა და ცხელი ზაფხულის პირობებში (ცხრ. I). გვაქს სტეპის და ნახევარულაბნოს მცნარეულობა.

კლიმატის თანამედროვე ცვლილება, რომელიც უკანასკნელი 2-3 ათეული წლის მანძილზე პაკრის ტექნიკურატურის მატებითა და ატმოსფერული ნალექების კლებით დაფიქსირდა საქართველოში, ანთროპოგენური ფაქტორის ზრდასთან ერთად, რომელიც წლიდან წლამდე შეიმჩნევა, ხელს შეუწყობს არამარტო ზემოაღნიშნული რაიონების, არამედ სხვა რეგიონების გაუდაბნოების პროცესს. ამის მიზეზია ტყეების უსისტემო ჩეხვა, სავტომობილო და ნაკორდასადგნი გზების გაუვაზა, დახრამვითი

მდგრადი-საღიძოვი	ტიპი	ატმოსფერული ნალექები, მმ						მერის ტემპერატურა, °C			სიშემჩვევის რაოდინიკუ- ლური მნიშვნელი
		წლი- წე- რი ჯამი III	დღეთ შემო- დე XI- IV-X	თბილი- ობი	ზამთა- რის	ზაფ- ენისი	საშუ- ალო წლი- წე- რი	$\Sigma > 10^0$	ზაფ- ენის საშუ- ალო		
თბილისი	403	559	148	411	72	169	12,7	4032	23,2	0,18	
გარდაბანი	300	422	121	301	56	118	12,9	4160	24,1	0,24	
თელავი	568	860	222	638	111	270	11,8	3727	21,8	0,11	
კულარი	500	517	131	386	67	165	11,6	3754	22,7	0,19	

და ქარისმიერი ეროვნია და, აგრეთვე, შირაჭ-ელდარის საძოვრების ავტომანქანებით გათელვა, რაც გამოწვეულია ნავთობისა და გაზის სამუშაოებით.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე უნაღუებო, გვალვანი ათწლიურებად შეიძლება დასახელდეს XIX საუკუნის 50-იანი და XX ს-ის 50-იანი, 60-იანი, 80-იანი, 90-იანი წლები, განსაკუთრებით 2000 წელი.

როგორც ზოგადი ცირკულაციური ფორმების (E, W, C) მრავალწლიური განაწილებიდან ჩანს, XX ს-დან მოყოლებული, აღნიშნული გვალვანი პერიოდები ემთხვევა E ტიპის ცირკულაციის გაბატონებულ პერიოდს, მაშასადამე, დასავლეთის ცირკულაციის - W ფორმის შესუსტებას [2].

გვალვის დროს, რაც გულისხმობს მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, ჰაერის შევარდებითი სინოტივე და სხვ.) ნორმიდან მნიშვნელოვან განხერებს, მცენარეები ააქტიურებენ ტრანსპირაციას და მათ სიცოცხლეს უზრუნველყოფს მხოლოდ ის უნარი, რომლითაც ისინი ეგუებიან, ან ეწინააღმდეგებიან წყლის დეფიციტს. მრავალწლიანი მცენარეები, რომელთაც ფეხვები ღრმად აქვთ, ადვილად იტანენ ატმოსფერული ნალექების სიმცირით გამოწვეულ ნიადაგის გამოშრობას. ხოლო ახალგაზრდა, ან ერთწლიანი მცენარეები, რომლებიც წყლის დეფიციტის გარეეული ზღვრის შემდეგ კარგავენ აორთქლების უნარს, იწყებენ ჭენობას და, თუ არა მორწყვა, იღუპებიან.

მცენარის ტრანსპირაცია პირდაპირ კაუშირშია მეტეოროლოგიურ ელემენტებისაგან შემდგარ ისეთ კომპლექსურ მაჩვენებლებთან,



როგორიც აორთქლებადობაა, რომლის მიხედვითაც შესაძლებებულია არაპირდაპირი გზით, მიახლოებით დადგინდეს მცენარის მიერ წყლის მოთხოვნილების ხორმა.

თვითდან თკუმდე მცენარის მოთხოვნილება წყალზე განიცდის (ვალებადობას, მაგრამ მაქსიმუმს ზაფხულის თვეებში აღწევს. ამ პროცესის უკეთ დახასიათებისათვის მიზანშეწონილი და მოსახერხებულია აორთქლებადობის განსაზღვრა იუანოვის ცნობილი ფორმულით:

$$E_0 = 0.0018(25 + t)^2 - (100 - f)$$

სადაც,  $t$  არის ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა, ხოლო  $f$  - ჰაერის საშუალო თვიური შეფარდებითი სინოტივე. აორთქლებადობა სწორედ ამ ფორმულით იქნა გამოანგარიშებული (ცხრ. 2).

აორთქლებადობის წლიური მსვლელობა ჰაერის ტემპერატურის მსვლელობის მსგავსია. ზაფხულში იგი, მაღალი ტემპერატურისა და დაბალი შეფარდებითი სინოტივის გამო, ყველაზე მაღალია. მისი საშუალო სიდიდე იყლის ში 185-205 მმ შორის მერყეობს. მაქსიმუმი იყლის-აგვისტოშია, ხოლო მინიმუმი დეკემბერ-იანერში. მსგავსი სურათია დანესტიანების ბალანსში (ცხრ. 3). წლიური მაჩვენებლების მიხედვით, დანესტიანების ბალანსი ყველგან უარყოფითია, განსაკუთრებით კი ზაფხულში, რაც ცხადია ინტენსიურ მორწყვას საჭიროებს.

სითბური ბალანსის მახასიათებლები, კერძოდ აორთქლებაზე და ტურბულენტურ სითბოგაცვლაზე დახარჯული სითბო განსაზღვრულია ფორმულით:

$$R=Lr+P+A$$

სადაც,  $R$  რადიაციული ბალანსის სიდიდეა მთელი წლის განმავლობაში,

$Lr$  - იმავე პერიოდში აორთქლებაზე დახარჯული სითბო;

$P$  - ტურბულენტური სითბოცვლა ქვეყნის ზედაპირსა და ატმოსფეროს შორის;

$A$  - სითბოცვლა ნიადაგში;

თუ დავუშვებთ, რომ  $A=0$ , მივიღებთ

$$R=Lr+P$$

ზაფხულის უნალექი პერიოდში, გაცილებით მეტი სითბო იხარჯება ჰაერის ტურბულენტურ გათბობაზე ( $P$ ), ვიდრე აორთქლებაზე ( $Lr$ ), რაც იწვევს საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის 3-5%-ით მატებას. აღსანიშნავია, რომ მრავალწლიური ხორმის მიხედვით, ჰაერის ტურბულენტურ გათბობაზე რადიაციული ბალანსის 50-55% იხარჯება [4], გვალვის დროს კი 65-80%; ძლიური გვალვის დროს კი უფრო მეტიც.

აორთქლებადობის ე.ო. მაქსიმალური აორთქლების განსაზღვრა და

აორთქლებადობა (30)

მეტყობენი ბეჭი	მკვები														
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის- ები	IV-X	VI- VIII
ობიექტი	37	42	61	93	116	155	193	185	129	73	44	33	1161	944	533
გარდამანი	26	38	31	87	64	154	205	198	135	77	40	27	1082	920	557
კლდე	25	29	40	71	92	133	185	184	114	65	54	25	1017	844	502

დანესტრის გადახის ბალანსი (30)

ცხრილი 3

ობიექტი	-14	-15	-25	-36	-23	-75	-141	-148	-83	-24	-4	-7	-598	-530	-372
გარდამანი	-10	-17	3	-44	4	-95	-175	-169	-100	-40	-9	-8	-644	-623	-444
კლდე	-4	-6	-6	-21	-5	-56	-136	-145	-71	-24	-24	-2	-500	-458	-337



ტერიტორიის სითბური ბალანსის დადგენა, საშუალებას მოვალეობის დაზუსტდებელი არა მარტო სასოფლო-ხამეურნეო კულტურების წყალმოსხვენილება, მათი მორწყვის ნორმები და ვადები, არამედ ქმნის რეალურ შესაძლებლობას მიწათმოქმედებაში წყალმოხმარების გრძელვადიანი პროგნოზის შესადგენად.

აღმოსავლეთ საქართველოში საუგებებიცით პერიოდში პიდრომეტკოროლორგიურად და აგროკლიმატურად დასაბუთებული სარწყავი ნორმების მნიშვნელობები ტოლია საშუალოდ 2900 მ/ჸა ზღვის დონიდან 500 მ-დან სიმაღლის ზონაში და 2100 მ/ჸა 500-1000 მ ზონაში [1].

მიღებული ნორმების მიხედვით, პირველი მიახლოებით გაანგარიშებულ იქნა მორწყვისთვის საჭირო წყლის მთლიანი მოცულობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთვის 1040 მლნ მ<sup>3</sup> შეადგენს.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში გამოსაყენებლად ვარგისი მიწების მოსარწყავად საჭიროა 5,5 კმ<sup>3</sup> წყალი, ანუ წყლის რესურსების ნახევარზე მეტი [1], რასაც ჩვენს მიერ გამოთვლილი დანესტიანების ბალანსიც ადასტურებს. როგორც ვხედავთ, წლიურად, წყლის დეფიციტი 500-დან 640 მმ-ს შეადგენს, რაც იმას ნიშავს, რომ თუ აქ ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 2-ჯერ გაიზრდება, წყლის რესურსებიც საკმარისი იქნება და, ცხადია, მორწყვაც საჭიროა აღარ იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს უკვლაზე მშრალი რეგიონებისათვის (ქართლი, კახეთი) შესწავლით იქნა პაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური მსვლელობა, რომლის თანახმადაც უკანასკნელი 2 ათეული წლის განმავლობაში დაფიქსირდა სითბოს რაოდენობის ( $\sum t > 0^{\circ}$ ) 150-200<sup>0</sup>-ით მატება, ხოლო ატმოსფერული ნალექების 50-80 მმ-ით კლება. შედგენილ იქნა დანესტიანების ბალანსი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მიახლოებით შეფასდეს წყლის დეფიციტი - 460-620 მმ წლის თბილი პერიოდისათვის, ხოლო ზაფხულისათვის - 340-440 მმ.

## ლიტერატურა

1. ქაზევაძე ნ. სარწყავი მიწათმოქმედების წელსამეურნეო პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური ურთიერთობის თბილისის ხახლომწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1999.
2. ჭუმლაძე დ. საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილება. თბილისი. 1991.
3. Григорьев А.А., Будыко М.И. Классификация климатов СССР. Изв. АН СССР. Сер. геогр. №3. 1959.
4. Цуцкиридзе Я.А. Возможность использования индекса турбулентного теплообмена для оценки климатических условий - В сб.: "География в Грузинской ССР". Вып. II, изд. "Мешниереба", Тб. 1975.

**Д. Г. Мумладзе, Г. И. Гагуа**

### **Процессы аридизации в Восточной Грузии, на фоне глобального потепления**

#### **Резюме**

На фоне глобального потепления, выраженного в Восточной Грузии ростом тепла ( $\Sigma^0 > 0^\circ$ ) на (100-150 $^\circ$ ) понижением годовых атмосферных осадков (на 70-100 мм) за последние два десятилетия, все чаще имеет место такое экстремально отрицательное явление, как засуха. Особо следует отметить сильную засуху 2000 года, которая вызвала полное нарушение экологического равновесия (особенно в Квемо Картли и Гаре Кахети) и нанесла большой материальный ущерб стране. Рост повторяемости таких засух несомненно вызовет сильную аридизацию степных ландшафтов Восточной Грузии, площадь которых, к счастью, составляет лишь 6-7 % всей территории республики. Для эффективного орошения этих ареалов расчитан баланс увлажненности и вычислен дефицит водных ресурсов в виде атмосферных осадков, которые исчисляются приблизительно в 460-620 мм в год.

**D.G. Mumladze, G.I. Gagua**

### **Process of Aridisation in the East Georgia on the Background of**

#### **Global warming**

#### **Summary**

Against global warming, expressed in the East Georgia by the increase of heat ( $\Sigma^0 > 0^\circ$ ) by 100-150 $^\circ$  and reduction of yearly precipitation (by 70-110 mm) for the last 2 decades is very frequently observed such an extremely negative phenomenon as drought. The hard drought of 2000 must be separately mentioned causing complete disturbance of ecological balance (especially in the area of Kvemo Kartly and Gare Kakheti) and the sizable financial damage to the country. The rise in frequency of such droughts will inevitably result in the high level aridisation of the East Georgia steppe landscapes, the area of which fortunately doesn't exceed 6-7% of the total territory of the Republic. For the effective irrigation of this area the humidity balance has been made and the deficit of water resources (precipitation) has been estimated reaching approximately 460-620 mm a year.



**ატმოსფეროს მიზანის უნავი, ოზონისა, ჰაერის ტემპერატურასა და სინოტიზმის გრძელება**

მრეწველობის, ტრანსპორტის, ნიადაგის მინერალიზაციის და სხვ. ინტენსიურმა განვითარებამ სხვადასხვა გაზებით და აეროზოლებით ტროპოსფეროს და სტრატოსფეროს ინტენსიური გაზებებით გამოიწვია. კოველივე ამან შექმნა პირობები სტრატოსფერული ოზონის შემცირებისა და ტროპოსფერული ოზონის გაზრდისა. ტროპოსფეროში სმოგური მდგრადირების დროს, მზის რადიაციის არხებობისას, ოზონის კონცენტრაციამ შეიძლება მიაღწიოს ან გადაჭარბოს ოზონის ფენის სტრატოსფერულ მაქსიმუმს. ტროპოსფერული ოზონის კონცენტრაციის გაზრდამ კი, მისი ოპტიკური თვისებების გამო შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის ზრდა ტროპოსფეროში ოზონის მიერ ინფრაწითელი რადიაციის შთანთქმით და ოზონით გაზების და აეროზოლების დაფინგვისას ხითონის გამოყოფის გამო. ტროპოსფერული ოზონის ზრდის ტრენდი უკვე დაფიქსირებულია ევროპის, აზიის და ამერიკის მთელ რიგ რაიონებში მცნიერების მიერ [1, 2, 3]. რომლებიც აღნიშნავენ ტროპოსფერული ოზონის სავარაუდო წლილის ტროპოსფეროს “სათბურის უფექტში”. აგმოსფერული ოზონი, როგორც კლიმატურ-მოქმედები ფაქტორი, საინტერესოა ორმხრივი: როგორც აქტიური ულტრაიისფერი რადიაციის მშთანთქმები და როგორც ოპტიკურად აქტიური კომპონენტი, რომლითაც მას მნიშვნელოვანი წლილი შეაქვს აგმოსფეროს “სათბურის უფექტის” ფორმირებაში.

მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის მასალების ანალიზმა უჩვენა, რომ ამავად ტონის კონცენტრაცია დასავლეთ ევროპაში გაზრდილია 2-3-ჯერ 1876-1910 წლების პერიოდთან შედარებით [3]. ეს მიუთითებს ტროპოსფერული ოზონის დინამიკაზე, მონიტორინგის აქტუალობაზე “სათბურის უფექტში” ოზონის წლილის თვალსაზრისით. გერმანეთი მცნიერის [4] კვლევებმა უჩვენეს, რომ ტროპოსფეროში დაკავირებული ოზონის კონცენტრაციის ზრდა იწვევს “სათბურის უფექტს”, ზიანს აუქნებს მცნარევებს და აძლიერებს აგმომსფეროს ქიმიურ აქტივობას პიდროექსილური რადიაციების წარმოქმნის გამო. ტროპოსფერული ოზონის ზრდის მიზეზს წარმოადგენს გაზების - ნახშირწყალბადების და აზიტის ქანგულობების ზრდა. ტროპოსფეროში ოზონის შემცველების გათვალისწინებით მზის გაძნეული რადიაციის უფექტური შთანთქმა უფრო მკრივ ტროპოსფეროში გაცილებით მეტია, ვიდრე სტრატოსფეროში. პოხენაცეისბერგის მდსერვატორიის (ბავარია) მონაცემებით ულტრაიისფერი რადიაცია 1968-1982 წლების პერიოდისათვის მიწის

ზედაპირის დონეზე შემცირდა 0,9 პროცენტით შუადღეს და ამონიუმის პროცენტით საშუალოდ დღისით.


თქმის მთავარი მიზნის - მიწისპირა ოზონის "სათბურის ეფექტზე" გაყლენის გამოხაკვლევად განხილულ იქნა დამზიდებულება მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის (მო) და მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის (მტ) საშუალო თვიური მნიშვნელობებიდან გადახრებს (Δρ და  $\Delta t^{\circ}\text{C}$  შესაბამისად) შორის თბილისისათვის სმოგურ პირობებში. სმოგურ მდგომარეობად ჩავთვალეთ ისეთი მდგომარეობა, როცა ამინდი არის უქარო, ანტიციკლონური, ქალაქის ზემოთ ატმოსფერო სხვადასხვა გაზებით და აეროზოლებით ძლიერ არის გაჭუქიანებული.

განხილულ იქნა  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ის სინქრონული მნიშვნელობების დღე-დამური ცვალებადობები სმოგის პირობებში. განვიხილეთ შემთხვევები, როცა  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$  ერთდროულად იზრდება ( $\Delta r > 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} > 0$ ); ერთდროულად მცირდება ( $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$ );  $\Delta r$  იზრდება და  $\Delta t^{\circ}\text{C}$  მცირდება ( $\Delta r > 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$ );  $\Delta r$  მცირდება და  $\Delta t^{\circ}\text{C}$  იზრდება ( $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} > 0$ ).

ატმოსფეროს სმოგური მდგომარეობის დროს  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ს დღე-დამური ცვლილებების თვალსაზრისით გვაქვს შემდეგი სურათი:  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ს ერთდროულ ზრდას დღე-დამის განმავლობაში ახასიათებს განმეორადობა 57,8 პროცენტის შემთხვევაში (სუფთა ატმოსფეროს დროს იყო 41 პროცენტი); მათ ერთდროულ შემცირებას ( $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$ ) ახასიათებს განმეორადობა 6,8 პროცენტის შემთხვევაში (სუფთა ატმოსფეროს დროს იყო 13,3 პროცენტი); მდგომარეობა - ( $\Delta r > 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$ ) ხასიათდება 12,8 პროცენტი განმეორადობით (სუფთა ატმოსფეროს პირობებში იყო 31 პროცენტი), ხოლო მდგომარეობა -  $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} > 0$  კი - 22,2 პროცენტით (სუფთა ატმოსფეროს დროს იყო 14,3 პროცენტი).

ატმოსფეროს სმოგური მდგომარეობის დროს  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ს ცვლილებას დღე-დამის განმავლობაში, უფრო დაწვრილებით, აქვს შემდეგი ხახე:  $\Delta r$  და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ს ერთდროულ ზრდას 01-08 ხაათის ინტერვალში აქვს მცირე განმეორადობა 7-20 პროცენტი, ხოლო 9-24 ხაათის ინტერვალში კი მაღალი - 45-94 პროცენტი; განსაკუთრებით მაღალი განმეორებადობით ხასიათდება დღე-დამის 11-18 ხაათის ინტერვალი - 67-94 პროცენტი. მდგომარეობა, როცა  $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$  ხასიათდება დაბალი განმეორადობით -3-23 პროცენტი. ასევე, დაბალი განმეორადობით ხასიათდება მდგომარეობა, როცა  $\Delta r > 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} < 0$  (6-29 პროცენტი). შედარებით მაღალი განმეორადობით ხასიათდება მდგომარეობა  $\Delta r < 0$  და  $\Delta t^{\circ}\text{C} > 0$  დღე-დამის 01-09 ხაათის ინტერვალში და შეადგენს 42-71 პროცენტს, ხოლო იგივე მდგომარეობა დაბალი განმეორადობით (3-31 პროცენტი) ხასიათდება დღე-დამის 10-24 ხაათის ინტერვალში (ცხრილი).

ოზონის კონცენტრაციის და ტემპერატურის სინქრონული (კვლეულების) ბეჭის ხავარაუდო ასენა შეიძლება იყოს შემდეგი: სმოგის დღეებში, 01-08 საათის ინტერვალში ოზონის კონცენტრაცია დაბალია, რამდენადაც ოზონის წარმოშობა დროის ამ ინტერვალში, ფოტო-ქიმიური რეაქციის მიმღინარეობისათვის საჭირო მზის რადიაციის სიმცირის გამო, არ ხდება. სტრატოსფეროდან გადმოტანილი ოზონი კი იხარჯება გამატებული გაზების და აეროზოლების დაუანგვაზე, რაც თავის მხრივ იწვევს სითბოს გამოყოფას და ჰაერის ტემპერატურის გაზრდას. 09-18 საათის ინტერვალში ფოტო-ქიმიური ოზონის წარმოშობისათვის საჭირო რადიაციის ( $\lambda < 400$  ნმ) არსებობის გამო მიმღინარეობს ოზონის (სმოგური ოზონის) წარმოშობა ტროპოსფერის ქვედა უენაში. წარმოშობილი ოზონის ნაწილი იხარჯება გაზების და აეროზოლების დაუანგვაზე, რაც დაკავშირებულია სითბოს გამოყოფასთან. ნაწილი დარჩენილი ოზონისა კი აწარმოებს დედამიწის მიერ გამოსხიულებული ინფრაწითელი რადიაციის შთანთქმას, რაც ასევე იწვევს ჰაერის ტემპერატურის მატებას. ეს უკანასკნელი იწოდება ტროპოსფერული ოზონის "სათბურის ეფექტად". რამდენადაც დღის განმავლობაში წარმოშობილი სმოგური ოზონის კონცენტრაცია მაღალია, ის შეინარჩუნება ფოტო-ქიმიური რეაქციის შეწყვეტის შემდეგაც კონცენტრაციის თანდათანობით შემცირებით, რომელსაც თან ახლავს ოზონის მიერ გამჭუქრიანებლების დაუანგვისას გამოყოფილი სითბო და სითბო, გამოწვეული ოზონის მიერ ინფრაწითელი რადიაციის შთანთქმით. დილის საათებში (01-09 საათი), სმოგის დღეს, უფრო ხშირა განმეორადობა მდგომარეობისა - ( $\Delta\rho < 0$  და  $\Delta t^{\circ}C > 0$ ), რაც კარგად ეთანხმება ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ოზონის მიერ ჰაერის გამჭუქრიანებლების დაუანგვისას სითბოს გამოყოფაზე.



სურ. 1. მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის და ჰაერის ტემპერატურის ცვლილებებს ( $\Delta\rho$ ,  $\Delta t^{\circ}C$ ) შორის დამოკიდებულების კორელაციის კოეფიციენტის (K) დღე-დამური სელა თბილისში, სუვთა და გაჭუქრიანებული (სმოგური) ატმოსფეროს პირობებში. 1 - სუვთა ატმოსფერი; 2. გაჭუქრიანებული (სმოგური) ატმოსფერი

დამოკიდებულება მიწისპირა ოზონის ქონცენტრაციის და პავრის  
ტემპერატურის ცვლილებებს ( $\Delta p < 0$ ,  $\Delta t^{\circ}\text{C} > 0$ ) შორის სმოგური  
ოზონის წარმოშობის პირობებში

დამოკიდებულების ნაათი	დაკვირვებულების რაოდენობა	შემთხვევათა რიცხვები, რაოდ.									
		$\Delta p > 0$ , $\Delta t > 0$		$\Delta p < 0$ , $\Delta t < 0$		$\Delta p > 0$ , $\Delta t < 0$		$\Delta p < 0$ , $\Delta t > 0$		$\Delta p = 0$ , $\Delta t = 0$	
1	15	3	20%	2	13%	2	13%	8	53%	0	0%
2	15	3	20%	2	13%	2	13%	8	53%	2	13%
3	15	3	20%	2	13%	2	13%	8	53%	2	13%
4	14	2	14%	2	14%	2	14%	8	57%	0	0%
5	11	1	9%	2	18%	2	18%	6	55%	0	0%
6	14	1	7%	2	14%	4	29%	7	50%	0	0%
7	14	1	7%	0	0%	3	21%	10	71%	0	0%
8	16	2	13%	2	13%	3	19%	9	56%	0	0%
9	21	8	38%	2	10%	2	10%	9	43%	0	0%
10	29	17	59%	2	7%	4	14%	6	21%	1	3%
11	29	20	69%	1	3%	3	10%	5	17%	0	0%
12	31	24	77%	1	3%	2	6%	4	13%	0	0%
13	33	30	91%	0	0%	2	6%	1	3%	0	0%
14	33	31	94%	0	0%	2	6%	0	0%	0	0%
15	33	31	94%	0	0%	2	6%	0	0%	1	3%
16	32	27	84%	0	0%	3	9%	2	6%	1	3%
17	22	17	77%	1	5%	3	14%	1	5%	0	0%
18	19	14	74%	0	0%	3	16%	2	11%	0	0%
19	17	10	59%	1	6%	5	29%	1	6%	0	0%
20	20	9	45%	2	10%	6	30%	3	15%	0	0%
21	18	11	67%	4	22%	3	17%	0	0%	0	0%
22	17	8	47%	4	24%	2	12%	3	18%	0	0%
23	13	6	46%	1	8%	2	15%	4	31%	0	0%
24	15	8	53%	0	0%	3	20%	4	27%	0	0%
ჯ.მნ	496	287	58%	33	7%	67	14%	109	22%	7	1%



დღე-დამის ცალკეული საათებისათვის გამოთვლილ იქნა კორელაციული ციის კოეფიციენტი დწ-სა და  $\Delta t^{\circ}\text{C}$ -ს შორის სმოგური ატმოსფერული პირობებში. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურ. 1-ზე. ამ სურათიდან ჩანს: კორელაციის კოეფიციენტი მათ შორის დამოკიდებულებისა 01-08 საათის ინტერვალში უარყოფითია და იცვლება ინტერვალში - 0,28-0,52, ხოლო 9 საათიდან დაწყებული 24 საათის ჩათვლით დადგებითია და იცვლება ინტერვალში 0,13-0,85. კორელაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა - (0,6-0,85) ძირითადში მოდის 11-19 საათებზე, მაქსიმუმით 14 საათზე.


მიღებული შედეგები კარგად ეთანხმება ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღილის საათებში (01-08 საათი) მიმდინარეობს სტრატოსფეროდან გაღმოტანილი ოზონის ხარჯვა (შემცირება) გაზების და აეროზოლების დაფანგვაზე, რასაც თან ახლავს სითბოს გამოყოფა და პაერის ტემპერატურის ზრდა. დღის შემდეგ ინტერვალში (09-18 საათი) ადგილი აქვს სმოგური ოზონის წარმოშობას, რომელსაც თან ახლავს ოზონით გამოწვეული ორი ეფექტი: ოზონით აეროზოლების და გაზების დაფანგვისას სითბოს გამოყოფა და ოზონით დედამიწის მიერ გამოხსივებული ინფრაწითელი რადიაციის შთანთქმა, რაც ახევე იწვევს პაერის ტემპერატურის გაზრდას, ე.წ. "სათბურის უშემძლებელი".

ოზონისა და ტემპერატურის ცვლილებებს შორის სმოგური მდგომარეობის დროს (უშალოდ სმოგური ოზონის წარმოშობის საათებში) კორელაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა 0,8-ის ტოლი.


სმოგური მდგომარეობის დროს გასაშუალებული დამოკიდებულება  $R_{\text{ა.ა.}}\text{-სა, } \Delta t^{\circ}\text{C-სა და } \Delta t\%_{\text{ს-ს}}$  (ფარდობითი სინოტივის ცვლილება) შორის წარმოდგენილია სურ. 2-ზე. ამ სურათიდან კარგად ჩანს  $R_{\text{ა.ა.}}\text{-სა, } \Delta t^{\circ}\text{C-ს}$  მრავდების შედარებით კარგი პარალელურობა სმოგური ოზონის წარმოშობის დროის ინტერვალში (09-18 საათი). დამის საათებში ეს ეფექტი არ დაიკვირვება. სურ. 2-დან ახევე ჩანს, რომ  $R_{\text{ა.ა.}}\text{-ს}$  შორის არის უკუკროპორციული კორელაციური დამოკიდებულება. სმოგური ოზონის წარმოშობის დროს პაერის ფარდობითი სინოტივე კოველთვის ნაკლებია 60 პროცენტზე და ცვალებადობს შუალედში - 20-60 პროცენტი, რაც არ დაიკვირვება სუფთა ატმოსფეროს პირობებში (სურ. 3).

მოკის და ტემპერატურის მასალების შედარებამ გვიჩვენა, რომ პაერში სმოგური ოზონის არსებობის დროს ტემპერატურის ზრდა საშუალოდ აღწევს  $3^{\circ}\text{C}$ -მდე (სურ. 2), ხოლო ზოგ შემთხვევაში  $7-8^{\circ}\text{C}$ -დეც (სურ. 4,5).


მაშასადამე, სმოგური ოზონის მასალების შედარებამ პაერის ტემპერატურის მასალებთან გვიჩვენა მიწისპირა ოზონის გავლენა "სათბურის ეფექტზე" მიკროდროითი მასშტაბით.




სურ. 2. მიწისპირა ღაზონის კონცენტრაციის ( $\bar{\rho}$ ) , ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ( $\Delta \bar{t}^{\circ}\text{C}$ ) და ფარდობითი სინოტივის ცვლილების ( $\Delta \bar{f} \%$ ) საშუალო მნიშვნელობების დღვ-დამური სფრა თბილისში გაჭუჭყიანებული (სმოგური) ატმოსფეროს პირობებში ( $\bar{\rho} - \cdot$ ;  $\Delta \bar{t}^{\circ}\text{C} - \Delta$ ;  $\Delta \bar{f} \% - \oplus$ ).



სურ. 3 მიწისპირა თბილის კონცენტრაციის ( $\bar{P}$ ), ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ( $\Delta t^{\circ}\text{C}$ ) და ფარდობითი სინოტიფის ცვლილების ( $\Delta f\%$ %) საშუალო მნიშვნელობების დღე-დამური სეზონ თბილისში - სუფთა ატმოსფეროს პირობებში. ( $\bar{P}$  - ;  $\Delta t^{\circ}\text{C}$  - Δ;  $\Delta f\%$  - +).



სურ. 4. დამოკიდებულება მიწისპირა თბილის კონცენტრაციასა (P) და ჰაერის ტემპერატურის ცვლილებას ( $\Delta t^{\circ}\text{C}$ ) შორის გაჭუბებიანებული (სმოგური) ატმოსფეროს პირობებში, თბილისში (○ - 20.04.1981 წ; • - 30.03.1982 წ; X - 3.04.1982 წ; Δ - 13.04.1982 წ; ■ - 17.04.1989 წ).



სურ. 5. დამოკიდებულება მიწისპირა ღზონის კონცენტრაციასა ( $\rho$ ) და ჰაერის ტემპერატურის ცვლილებას ( $\Delta t^{\circ}\text{C}$ ) შორის გაჭუჭყიანებული (სმოგური) ატმოსფეროს პირობებში, თბილისში (• - 25.04.1982 წ; ○ - 23.05.1984 წ; X - 11.04.1986 წ; ▲ - 7.04.1987 წ; ■ - 22.04.1987 წ).

## ლიტერატურა

1. Elichegara Christion. Problemes lies a l'ozone troposphérique effect de certaines pluies acides etc-Pollut. atmos. 32, No. 128, 1990.
2. Janach Walter E. Surface ozone: trend details seasonal variation and interpretation. J. Geophys. Res. D., No 15, p. 1989-94.
3. Kley Dieter. Ozon als klimafaktor - AGF Forschungsten Fusion, No. 2, 1989.
4. Penket Stuart A. Ultraviolet levels down not up-Nature 341, No. 6240, 1989.

Дж. Ф. Харчилава, В.А. Амиранашвили, В.А. Чихладзе

### **Взаимосвязь озона, температуры и влажности воздуха в приземном слое атмосферы на примере г. Тбилиси** **Резюме**

В работе рассмотрена зависимость образующегося во время атмосферного смога приземного озона от температуры и влажности воздуха. Показано, что коэффициент корреляции между концентрацией приземного озона и температурой воздуха во время смога (10-18 часов) положителен и меняется в пределах 0.6-0.8. Высказано мнение, что часть образовавшегося в дневные часы смогового озона расходуется на окисление газов и аэрозолей, в процессе которого выделяется тепло. Оставшаяся часть смогового озона, поглощая испускаемую земной поверхностью инфракрасную радиацию, вызывает рост температуры воздуха. В конечном итоге, с помощью смогового озона проявляется "парниковый эффект," под влиянием которого температура воздуха возрастает в среднем до 3°C, а в отдельных случаях до 7-8°C. Показано также, что днем, во время смога, рост концентрации озона сопровождается уменьшением относительной влажности воздуха и наоборот. В условиях чистой атмосферы указанная взаимосвязь между концентрацией приземного озона и температурой и влажностью воздуха не наблюдается.

J. F. Kharchilava, V. A. Amiranashvili, V. A. Chikhladze

## Interrelation of Ozone, Temperature and Humidity of Air in the Atmospheric Surface Layer on an Example of Tbilisi. Summary

In the present paper dependence of a surface ozone formed during atmospheric smog on the atmospheric temperature and humidity is considered. It is shown, that the factor of correlation between concentration of the surface ozone and air temperature during smog is positive and varies in range 0.6 - 0.8. It is supposed that the share of ozone formed in the afternoon during the smog is spent for oxidation of gases and aerosols is stated, during which a heat is released. The rest of smog ozone, absorbing infra-red radiation let out by a terrestrial surface, causes growth of air temperature. Finally, with the help smog ozone the hotbed effect it is shown, under influence of which the air temperature grows on the average up to 3°C, and in separate cases - up to 7-8° N. It is also shown, that in the afternoon during the smog growth of ozone concentration is accompanied by reduction of relative humidity of air and vice versa. In conditions of a clear atmosphere the specified interrelation between surface ozone concentration and temperature and humidity of air is not observed.

**ტროპოსფეროს მვეღა ბაზუზიანებულ პარის  
ფენაში ოზონის წარმოვობის და დაშლის  
მიზიდაზე მიმიური რეაქციების და გათი მუდმივების  
შევასება თბილისათვის**

ტროპოსფეროში ოზონის ფოტოქიმიური რეაქციით წარმოშობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირქანგი - CO. გამარტივებული მექანიზმი ოზონის წარმოშობისა ნახშირქანგის არხებობისას წარმოადგენს შემდეგ ელექტროარულ ქიმიურ რეაქციებს [1]:



$\text{NO}_2$ -ის დაშლას სჭირდება ულტრაიისფერი რადიაცია, ტალღის ხიგრძით  $\lambda < 400$  ნმ-ზე ვ. ე. ტროპოსფეროს ქიმიას უმთავრესად მართავს ულტრაიისფერი რადიაცია, ტალღის ხიგრძით  $\lambda < 400$  ნმ. ტროპოსფეროში ოზონი წარმოიქმნება პეროქსირადიკალების ( $\text{HO}_2$ ) რეაქციით აზოტეანგთან (რეაქცია 3), რის შედეგადაც ვლებულობთ  $\text{NO}_2$  და  $\text{OH}$  რადიკალები.  $\text{NO}_2$ -ზე მოქმედებს რა ულტრაიისფერი რადიაცია ტალღის ხიგრძით  $\lambda < 400$  ნმ, წარმოიქმნება ოზონი ( $\text{O}_3$ ). NO მონაწილეობს  $\text{NO}_2$ -ის აღდგენით რეაქციაში:



რეაქციები (4) და (6) წარმოადგენებ ნულოვან ციკლს, მაგრამ როცა (4) რეაქციას მოხდევს (3), მაშინ ოზონი აღარ იხარჯება და შედეგად ელექტრობობთ ოზონის კონცენტრაციის მატებას. რეაქცია (3)-ის პროდუქტი  $\text{OH}$  რადიკალი სწრაფად რეაგირებს “სიცოცხლის” უნარიან ნახშირქანგთან (CO), მეთანთან ( $\text{CH}_4$ ) და სხვა ორგანულ მოლეკულებთან, რის შედეგადაც ხდება  $\text{HO}_2$ -ის რეგენერაცია [1].

მიღებულია, რომ ნახშირქანგი პაერში ხვდება როგორც ბუნებრივი, ისე ანტროპოგენური წყაროებიდან. ძირითად ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს ბუნებრივი წარმოშობის ნახშირწყალბადების დაუანგვა (მეთანის ჩათვლით), ტყის და სტეპის ხანძრები. ანტროპოგენურ წყაროებს კი წარმოადგენებ სამრეწველო გამონაცემი, თრგანული სათბობის დაწვის პროდუქტი, ანტროპოგენური წარმოშობის ნახშირწყალბადების დაფანგვა [2].

ის რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობენ დისოციაციის გზით, დამიკუდებული არიან დრუბლიანობაზე. მოწმებდილი ცის პირობებში მზის ნათება შეტია და ფოტოდისოციაცია სწრაფია. რეაქცია (3)-ის

სიჩქარე ტემპერატურის ზრდისას ოდნავ კლებულობს, რეაქციაზე უფრო მკაცრადაა დამოკიდებული ტემპერატურაზე და მიხი 5°C-ით ზრდა იწვევს რეაქციის სისწავეს 6 პროცენტით [3].

ზემოთ მოყვანილი რეაქციები წარმოადგენებს იმ საწყის ჯაჭვურ რეაქციებს, რომლებიც მიმდინარეობენ ტროპოსფეროში და გავლენას ახდენენ ატმოსფეროს ამ უკის შემაღებელობაზე. როდესაც გარემო მდიდარია  $\text{NO}_x$ -ით, მეთანის დაკანგვით წარმოიქმნება ისეთი სტაბილური პროდუქტი, როგორიცაა ფორმალდებიტი ( $\text{CH}_2\text{O}$ ). რომელიც შემდგომ ხდება  $\text{NO}_2$ -ის,  $\text{HO}_2$ -ის და  $\text{O}_3$ -ის წარმოქმნის ეფექტ ერთი წყარო. ბენზორივი ნახშირწყალბადები, ტერპენი და იზოპრენი ( $\text{C}_5\text{H}_8$ ), რომლებიც ხშირად, განსაზღვრულ მხიან პირობებში, ხვდებიან ატმოსფეროში, ძლიერ რეაქციულნი არიან და ხელს უწყობენ ოზონის და ორგანული ნაერთების (ფორმალდებიტი, ალდეჰიდები და სხვა) წარმოქმნას.

რიგი ავტორების მიერ გაზომილი იქნა ოზონის მაღალი კონცენტრაციები ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში აშშ-ის აღმოსავლეთ რაიონებში იმ პერიოდში, როდესაც მაღალი იყო იზოპრენის კონცენტრაცია [3,4] (იზოპრენის გამოყოფის სიჩქარე და კონცენტრაცია პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია პაერის ტემპერატურასთან). ოზონის კონცენტრაციაზე ტროპოსფეროში უარყოფით გავლენას ახდენენ დრუბლები, რადგან მათში ოზონის წარმოქმნელი რეაქციები ხელდება ( $\text{NO}_2$ -ის და  $\text{HO}_2$ -ის დაშორებით).  $\text{HO}_2$  ხსნადია და გადაის თხევად ფაზაში და რეაქცია (3) ხელდება. ამის გამო ხელდება  $\text{NO}_2$ -ის,  $\text{HO}_2$ -ის და  $\text{O}_3$ -ის წარმოქმნა. ასეთივე გავლენას ახდენს ოზონის კონცენტრაციის შემცირებაზე სინოტივის გაზრდა.

ოზონის დაშლა, ძირითად ში, მიმდინარეობს მასზე აზოტის უანგის (NO) ზემოქმედებისას (6) რეაქციის თანახმად.

სმოგის პირობებში მყარდება ფოტო-ქიმიური წონასწორობა, და მინარევების კონცენტრაციებს შორის კავშირი გამოისახება შემდეგი თანაფარდობით:

$$[\text{O}_3] = j_1 [\text{NO}_2]/(j_2 [\text{NO}]) \quad (7)$$

სადაც  $j_1 - \text{NO}_2$ -ის ფოტოდისხციაციის კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია მხის რადიაციის ინტენსიობაზე,  $j_2$  არის (6) რეაქციის სიჩქარის მუდმივა, რომელიც დამოკიდებულია პაერის ტემპერატურაზე. ეს დამოკიდებულება აღიწერება არენიუსის განტოლებით [5]:

$$j_2 = A \cdot \exp(-B/T) \quad (8)$$

სადაც  $A = 2.1 \cdot 10^{-12}$  და  $B = 1450$ ,  $T$  აბსოლუტური ტემპერატურა, მაშინ (8) მიიღებს სახეს:

$$j_2 = 2.1 \cdot 10^{-12} \exp(-1450/T) \text{ s}^3 \text{V}^{-1} \quad (9)$$

ჩვენი მიზანი იყო თბილისში, სმოგის პირობებში, გაზომილი  $\text{NO}_x$  და  $\text{NO}_2$ -ის კონცენტრაციების და ჰაერის ტემპერატურის ცნობილი მონაცემებით შეგვეფასებინა ოზონის დაშლის რეაქცია - (6)-ის სიჩქარის მუდმივა -  $j_3$  და მისი საშუალებით განგვეხაზდვრა  $\text{NO}_2$ -ის უორმდისოციის (რეაქცია 4) ქოეფიციენტი -  $j_1$ . თბილისისათვის, სმოგის პირობებში, თუ გვეცოდინება  $j_1$ ,  $j_3$  და  $\text{NO}$  და  $\text{NO}_2$ -ის კონცენტრაციები, მაშინ ფორმულა (7)-ით შესაძლებელი იქნება ოზონის კონცენტრაციის  $[O_3]$  გამოთვლა თბილისის სხვადასხვა რაიონებისათვის, რომლებიც  $\text{NO}$  და  $\text{NO}_2$ -ის სხვადასხვა ხარისხით არიან გაჭუქიყანებული. თბილისის სხვადასხვა რაიონებისათვის, ოზონის კონცენტრაციის ასეთი ხახით გამოთვლების ჩატარება მომავლის ამოცანაა.

თბილისში გაზების -  $\text{NO}$  და  $\text{NO}_2$ -ის მონაცემები მხოლოდ სამი დღოისათვის (07, 13, 19 საათები) არსებობდა და რამდენადაც სმოგური ოზონი დაიკვირვება მხოლოდ დღის საათებში, განვიხილეთ მხოლოდ 13 საათის მასალები და მისთვის გამოვთვალეთ  $j_1$  და  $j_3$  ქოეფიციენტები. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში, სადაც შეტანილია შემდეგი მასალები: მიწისპირა ოზონის კონცენტრაცია;  $\text{NO}$ ,  $\text{NO}_2$  და  $\text{CO}$ -ს კონცენტრაციები; ჰაერის ტემპერატურა და სინოტიკური ოზონის კონცენტრაციის დღის მაქსიმალური მნიშვნელობა (წილადის მრიცხველში) და შესაბამისი დაკვირვების დრო (წილადის მნიშვნელში); გამოთვლილი  $j_1$ -ისა და  $j_3$ -ის მნიშვნელობები.

ცხრილში მოყვანილია 1991-1992 წლის სმოგური დღეების მონაცემები, სულ 29 შემთხვევა. ცხრილიდან აშეარად ჩანს, რომ სმოგის დღეებში ჰაერის სინოტიკურ შემცირებულია (ნაკლებია 60 პროცენტი). ცხრილიდან, ასევე, ჩანს, რომ მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა ყოველთვის დაიკვირვება დღის მეორე ნახევარში - 13-17 საათებში.

მომავალში, მე-7 ფორმულის საშუალებით შეგვიძლია გამოვთვალოთ მიწისპირა ოზონის კონცენტრაცია თბილისის სხვადასხვა რაიონში, თუ გვეცოდინება ამ რაიონებში  $\text{NO}$ -ს და  $\text{NO}_2$ -ის კონცენტრაციები. ამისათვის კი საჭიროა, წინასწარ, შედარებით დიდ მასალაზე ჩავატაროთ  $j_1$ -ისა და  $j_3$ -ის გამოთვლები.

თბილისში, პაერის მიწისძირა ფენაში, სმოგური მდგომარეობის  
 პირობებში, ოზონის ზარმოქმნისა და დაშლის რეაქციების  
 მუდმივების განსაზღვრა (13 საათის მონაცემებით)

№	როკები	მდგრადი				მერ. /დუბ.	t°C	v	$j_f \cdot 10^3$	$j_y \cdot 10^{20}$
		O <sub>3</sub> ზამ.	O <sub>3</sub> მაქ.	NO <sub>x</sub>	NO					
1	11.07.1991 ვ.	72	86/15	0,05	0,03	4	28,6	53	74,71	1,73
2	12.07.1991 ვ.	72	88/15	0,07	0,03	4	30,3	55	47,28	1,73
3	22.07.1991 ვ.	94	116/15	0,08	0,05	5	34,3	45	111,64	1,91
4	25.07.1991 ვ.	65	91/17	0,08	0,05	10	31,4	47	96,72	1,73
5	29.07.1991 ვ.	75	78/16	0,06	0,05	7	36,1	50	118,89	1,91
6	30.07.1991 ვ.	65	75/17	0,08	0,05	5	35,5	58	103,97	2,58
7	30.08.1991 ვ.	73	99/14	0,06	0,03	5	29,3	50	63,14	1,73
8	26.09.1991 ვ.	65	80/15	0,05	0,05	10	24,3	49	101,4	1,56
9	30.09.1991 ვ.	73	87/14	0,08	0,04	6	26,7	54	63,14	1,73
10	15.10.1991 ვ.	58	100/15	0,07	0,04	4	28,8	46	57,19	1,73
11	18.10.1991 ვ.	65	73/14	0,06	0,03	3	22,3	56	50,70	1,56
12	13.03.1992 ვ.	88	99/14	0,09	0,03	5	12,4	47	112,64	1,28
13	1.04.1992 ვ.	90	90/13	0,06	0,03	4	15,3	47	63,9	1,42
14	2.04.1992 ვ.	104	104/13	0,07	0,04	3	14,8	46	84,18	1,42
15	3.04.1992 ვ.	84	102/15	0,07	0,03	4	16,2	46	51,29	1,42
16	9.04.1992 ვ.	81	87/15	0,06	0,04	3	22,7	54	84,66	1,56
17	23.04.1992 ვ.	86	98/16	0,05	0,06	5	12	51	131,9	1,28
18	29.04.1992 ვ.	98	98/13	0,05	0,05	4	16,8	50	139,16	1,42
19	22.05.1992 ვ.	98	110/14	0,07	0,05	-	20,8	46	120,37	1,73
20	18.06.1992 ვ.	88	91/12	0,07	-	5	28	48	-	-
21	6.07.1992 ვ.	73	110/17	0,06	0,03	3	28,2	47	63,14	1,73
22	8.07.1992 ვ.	81	96/16	0,07	0,05	6	30,9	50	99,49	1,73
23	14.07.1992 ვ.	64	73/14	0,05	0,05	7	27,5	60	110,72	1,73
24	16.07.1992 ვ.	75	83/15	0,05	0,04	3	32,2	56	103,8	1,73
25	21.07.1992 ვ.	80	106/16	0,05	0,03	2	32,2	46	83,4	1,73
26	22.07.1992 ვ.	73	83/15	0,06	0,05	4	32,6	50	104,62	1,73
27	5.08.1992 ვ.	81	81/13	0,06	0,02	4	30,3	50	402,4	1,73
28	11.08.1992 ვ.	58	80/15	0,05	0,05	5	29,9	52	100,34	1,73
29	18.08.1992 ვ.	67	83/16	0,06	0,05	8	31,3	49	96,20	1,73
								სამუშაო	83,53	1,68

## ლიტერატურა

1. WMO Report of the International Ozone Trends panel 1988, World Meteorologia Organization Global Ozone and Monitoring Network Report 18, WMO Washington, Dc 1990 a.
2. Ровинский Ф.Я., Егоров В.И. Озон, Окислы азота и серы в нижней атмосфере - Л.; Гидрометеоиздат, 1986.
3. Chameides W.L. Lindsay, I. Richardson and C.S. Kiang. The role of biogenic hidrocarbons in urban photochemical smog: Atlanta as case study science 241, 1479-1475, 1988.
4. Blake N.J. D.R. Blake D.F. Hurs T.W. Smith Jr, W.S. Whipple, T.Y. Chen, J.S.A. Isaksen and F.S. Rowland. Summer time measurement in the arctic and subarctic during the 1988 Arctic.
5. Kley Dieter. Ozon als Klimafaktor - AGF Forschung ten Fusion No. 2, 1989.

Дж. Ф. Харчилава, В.А. Чихладзе

### **Основные химические реакции образования и распада озона и оценки их постоянных в нижнем загрязненном слое тропосферного воздуха применительно к условиям г. Тбилиси**

#### **Резюме**

В работе приведены основные реакции образования и распада приземного озона в условиях смога. Рассмотрена формула зависимости между концентрациями примесей ( $O_3$ , NO,  $NO_2$ ) во время равновесия. В этой формуле фигурируют коэффициенты фотодиссоциации двуокиси азота  $j_1$ , который зависит от солнечной радиации и коэффициенты скорости реакции распада озона  $j_3$ , который зависит от температуры воздуха. Определена величина коэффициента  $j_3$  для Тбилиси во время смога; с его помощью и с использованием формулы равновесия рассчитана величина  $j_1$ , когда известны концентрации NO и  $NO_2$ . По известным значениям  $j_1$ ,  $j_3$ , NO и  $NO_2$ , можно вычислить концентрацию образовавшегося во время смога озона в различных районах г. Тбилиси, которые в разной степени загрязнены окислами и двуокислами азота.

J. F. Kharchilava, V. A. Chikhladze

## The Basic Chemical Reactions of Formation and Disintegration of Ozone and Estimation of their Constants in the Lower Polluted Layer of Tropospheric Air in Conditions of Tbilisi.

### Summary

In the present paper the basic reactions of formation and disintegration of the surface ozone in conditions of smog are given. The formula of the dependence among the concentrations of admixtures ( $O$ ,  $NO$ ,  $NO_2$ ) during balance is considered. In this formula factors of photodissociation of dioxide of nitrogen  $j_1$  which depends on solar radiation and factors of speed of reaction of disintegration of ozone  $j_3$  which depends on air temperature, are appeared. The value of the factor  $j_3$  for Tbilisi during the smog is determined. With its help and with use of the balance formula the value  $j_1$  is calculated when concentrations  $NO$  and  $NO_2$  were known. On known values of  $j_1, j_3, NO$  and  $NO_2$  it is possible to calculate concentration of ozone formed during the smog in various areas of Tbilisi, which in a different degree with oxides and dioxides of nitrogen are polluted.

## ატიმოსჭერული პროცესების ღიაგობა და მთიანი რეგიონის ძლიერადი

დღევანდელი კაცობრიობისათვის არც ერთი გასართობი პროგრამა, არც ერთი დეტექტურ-რომანტიკული სიუჟეტი არ არის იმდენად მიმზიდველი და საინტერესო, როგორც ამინდის პროგნოზის მოქლე ინფორმაცია გაღმოცემული ტელევიზორის კურანიდან ან რადიომიზ-ლებით. რაც შეეხება კლიმატს, რომელიც მსოფლიო კოოლოგიურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მის პროგნოზს, ე. ამინდის პროგნოზს თვისათვის, სეზონისათვის, წლისათვის და მით უმეტეს ათეული წლისათვის წინასწარ ინფორმაციას მასობრივი წაროვები არ გაღმოს-ცემენ. ამასთანავე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები დიდ სახსრებს გამოყენების, რათა რაც შეიძლება უმოკლეს დროში გამოიწვდეს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის გზა.

დადგენილია, რომ კლიმატი მლიანობაში დამოკიდებულია დედამიწასა და აგრძოსფეროს გამყოფი ზედაპირის თვისებებზე, ამასთანავე ეს გავლენა მნიშვნელოვნად იზრდება მასშტაბების შემცირებასთან დაკავშირებით. კლიმატის დაკვირვებული სისტემატური გაუარესება სიმაღლის გაზრდასთან დაკავშირებით კარგად არის ცნობილი კველა მთიანი რეგიონისათვის. მთა-გორიანი ტოპოგრაფია ხელს უწყობს პაერის ნაკადში დამატებით ტურბულენტობის შექმნას, რომელიც გარსედინება მთას და მრავალ შემთხვევაში იწვევს რხევითი ხასიათის რეგულარულ შეშფოთებებს [1].

იმ შემთხვევაში, როცა საქართვისად გრძელი,  $\Delta L = 10-50$  ქ. მასშტაბისაა და მეტი სიდიდის ქედი განლაგებულია პაერის ნაკადის მართობულად (მაგ. საქართველოში სურამის ქედი პაერის მასების დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებების შემოჭრისას). მეტეოროლოგიური და ტოპოგრაფიული პირობების კეთილგანწყობილ შეთანხმებისას მთის მეორე მხარეს წარმოიქმნება მდგრადი სტრატიულიკაციის ტალღები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს პაერის ნაკადის ნაწილობრივ დაბრუნებას დედამიწის ზედაპირისაკენ. ეს მოვლენა დაკვირვებადია სინოპტიკურ პრაქტიკაში და აისახება მოდელურ ამოცანებშიც [1-4]. ტალღის ფორმა და ამპლიტუდის ხიდიდე დამოკიდებულია ოროგრაფიის თავისებურებებზე, ეს კარგად ჩანს დრუბელთა თანამგზავრულ სურათებზე. თეორიულად ახეთი ტალღების არსებობა და ყოფაქცევა შესწავლით იქნა [4]-ში. პიდროთერმოდინამიკის და შენახვის კანონების გამოყენებით მიღებული იქნა შედარებით მარტივი

დამოკიდებულება მოის მახასიათებელ სიღიდუებისა და ტალღურ რიცხვებს შორის, კერძოდ სამართლიანია ტოლობა:

$$am+bn=0 \quad (1)$$

სადაც  $a$  და  $b$  მოის დახრილობის პარამეტრებია პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ შესაბამისად, ხოლო  $m$ ,  $n$  ტალღური რიცხვებია. თუ მთავარ კავკასიონის სიგრძეს პარალელის გასწვრივ მიყიდვებთ  $L=1500$  კმ, ხოლო მერიდიანის მიმართ  $L_y=100$  კმ, მაშინ შესაბამისი ტალღური რიცხვები იქნება  $M=2\pi/2L_x=4*10^{-6}$  1/მ,  $N=2\pi/R_y=6*10^{-5}$  ზ<sup>-1</sup> მდგრადი ტალღის შესაბამისი პერიოდი მოთავსებულია 1,5-დან 15 დღე-დამეტე თანამგზავრული სურათების ანალიზი მართლაც ადასტურებს ასეთი პერიოდის და ტალღის სიგრძის ოროგრაფიული ტალღების არსებობას [3,4]. ამავე მიზეზით წარმოიქმნება მძლავრი ქარები კავკასიონის სამსხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს, რომის ხეობაში მათ ხშირად მოხსევს ტენიანობისა და ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება.

ბუნებრივია ჰაერის მასების აღნიშნული დინამიკა და მეტოროლოგიური ფაქტორები ძირითადად განსაზღვრავენ მთიან რეგიონში ატმოსფერული პროცესების ხასიათს, მათ შორის ნებისმიერი დამატებული ანებელი წაროვებიდან მინარევების წარმოშობას და გაურცელების აუკატურობას. ყოველივე ამის გამო მხოვლიოს ზოგიერთ რაიონებში მდგრადი მინარევების პრობლემა ხდება რეგიონალურ-ლოკალური ბუნების [2]. ზოგიერთ მინარევის (მაგ.  $\text{CO}_2$ ) აქცე გლობალური მნიშვნელობა, რამდენადაც მათ შეუძლიათ გლობალური კლიმატის ცვლილებების გამოწვევა. მისი დღვევანდველი რაოდენობის გაორკეცება (= 50 წელში) გამოიწვევს გლობალური ტემპერატურის მატებას 3°C-დან 4,5°C-მდე, რასაც კატასტროფული შედეგი მოჰყვება. შეარი მინარევი, წარმოქმნილი დედამიწისა და ზღვის ზედაპირიდან, ლოკალურ ხასიათს ატარებს. ატმოსფერული ჰაერის მოცული მინარევის მხოლოდ 10% არის მყარი და თხევადი, დანარჩენი 90% გაზური კომპონენტებია. საეურადლებოა ის გარემოება, რომ მყარი და თხევადი მინარევი დიდ გავლენას ახდენს ჰაერის გამჭვირვალობაზე და სხივების გაბნევის თვისებებზე. შეფასებულია, რომ ჰაერში არსებული თხევადი და მყარი მინარევების 90% რჩება ტროპოსფეროში და ამასთანავე 80% ქვედა ერთ კილომეტრიან ფენაში (მინარევის დიამეტრი იცვლება 0,1-10 მტ-მდე) [2]. 1980-იანი წლების მონაცემებით აშშ-ში ჰაერის დაჭუქებიანების 60% მოდიოდა ავტოტრანსპორტზე, 17% მრეწველობაზე და 14% ელსაღდურებზე. აღსანიშნავია, რომ ატმოსფეროში დაბინძურებასთან ერთად მიმდინარეობს ბუნებრივი გაწმენდა, მაგ. დიდ ბრიტანეთში კვამლის ნაწილაკების არსებობის საშუალო ხაზრძლივობა არის (1-2) დღე-დამე,  $\text{SO}_2$  მოლეკულებისა 12 ხო-ზე ნაკლებია. მინარევი ტოვებს ტროპოსფეროს სხვადასხვა პროცესით, მათ შორის ყველაზე მთავარია აეროზოლებისა და გაზური მინარევების ჩამორეცხვა-გაწმენდა წვიმითა და თოვლით.


ნალექებს მინარევი ჩამოაქს დედამიწის ზედაპირზე და ჩინდგაში, აქედან გამომდინარე სხვა თანაბარ პირობებში გაჭუჭყანება უფრო დიდია მდგრად მშრალ ადგილებში (გაბატონებული მდგრადი ხტრატი-ფიკაცია და მდგრადი ტალღები, რომლებზედაც ზემოთ მივუთით), კიდრე ნოტიოში. შემჩნეულია, რომ თანაბარი წევმა 1 მმ/ს ინტენსივობით, 15 წთ პაერიდან წმენდს 28% აეროზოლების ნაწილაკებს 10 მქმ ზომით. თუ ზომა არის 2 მქმ ან ნაკლები, მაშინ მათზე ნალექებით გაწმენდა უმნიშვნელოა. ხტრატოსფეროში მოხვედრილი მინარევი (თერმობირ-თვული აფეთქების ან კულპანური ამოფრევების შედეგად), მხოლოდ (1-5%) ეცემა აფეთქების შემდეგ ქვემოთ პირველ 30 დღე-დამის განმავლობაში. დიდ ქალაქებში და სამრეწველო ობიექტებს ტროპოს-ფეროში სრული გაწმენდისათვის საჭიროა რამდენიმე დღე-დამე და ამ პერიოდში პაერის მასა იძენს მინარევს ახალი წყაროდან და ატმოსფეროს გაწმენდის პროცესი უფრო ხანგრძლივი, ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. ცნობილია, რომ წერტილოვანი წყაროდან, რომელიც შეიძლება იყოს მყისი (ბირთვული აფეთქება) ან უწყვეტი (საქართვის მილები, ელექტროსალგურები) წეველებრივი განბნევა ლოკალურ დისპერსიული პროცესით მიმდინარეობს გაბატონებული ქარის მიმართულებით დაახლოებით 10 კმ მანძილზე [2]. გაჭუჭყანების კონცენტრაცია გამოტყოფილ მუდმივმოქმედ წყაროდან უკარისირციულია ქარის სიჩქარისა. გაწმენდის ხარისხი დამოკიდებულია მიკროცირკულაციური პროცესების სიმძლავრეზე და წყაროს სიმძლავრეზე აღბათურია, რომ ატმოსფეროს მოლინან ენერგიის ცვლილება დაკავშირებულია სითბურ დაბინძურებასთან. მეცნიერ კოულის (1969 წ. [1]) აზრით ადამიანის მიერ წარმოებული სრული ენერგია ექვივალენტურია  $5 \cdot 10^{12}$  ვტ სიმძლავრისა და შეადგენს დედამიწის გამოსხივებული ენერგიის 1%-ს. თუ დაუკუშებთ, რომ ენერგიის წარმოება წლიურად გაიზრდება 7%-ით, მთილება, რომ 91 წლის შემდეგ დედამიწის ტემპერატურა მოიმატებს 1%-ით. ასეთი ცვლილება კი საქმარისია, რომ მოხდეს მცენარეული ზონების გადაადგილებები. გლობალური ტემპერატურის ზოთ მომატებისათვის, რაც გამოიწვევდა კინულოვანი ქედის გადნობას დასჭირდება 78 წლი. კოული ფიქრობს, რომ 1000 წლის შემდეგ ტემპერატურა გაიზრდება  $3^{\circ}\text{C}$ -დან  $5^{\circ}\text{C}$ -მდე და დედამიწა გახდება მოლინანდ დაუსახლებელი. სხვა აუტორებს ცხადია განსხვავებული შეხედულები აქვთ.

ბუნებრივია, რომ კლიმატური სისტემები ურთიერთშორის ცვლის არა მარტო ენერგიას, არამედ ნივთიერებას (ყინულს, თოვლს, წყლის ორთქლს, აეროზოლებს), რომლებიც გავლენას ახდენენ სისტემის რადიაციულ, თერმულ და სხვა სახის რეჟიმზე. კინაიდან ქლიმატის სისტემებს აქვს თავისი ინერციული მახასიათებელი (განსხვავებული მეორისაგან), ამიტომ მათ აგრეთვე აქვთ ახალი რეჟიმის დამყარების,

გარეგანი შეშფოთების რეაქციის რელაქსაციის ხევადასხევა დრო. თუ ეს დრო ატმოსფეროსა და ხმელეთის ზედაპირისათვის შეადგენს რამოდენიმე კერას ან თვეს, წყლის ზედაპირისადმი ის არის წლები ან ათწლეული, ხოლო ოკეანის ღრმა ფენებისათვის რელაქსაციის დროს იზრდება ათასწლეულამდე კლიმატის ფორმირებისა და ცელილუბების შინაგანი ფაქტორები ხმირად მციდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთში, აძლიერებენ ან ასუსტებენ თავის გავლენას, ანუ ქმნიან მთლიანი უკუკავშირის სისტემას. ეს კავშირები და მზის მთავარი როლი კარგად ჩანს ნახ. I-დან მთა-გორიანი რეგიონებისათვის, აღსანიშნავია შემდეგი კავშირები [5]:

ა) ტემპერატურა-სინოტივე, ღრუბლიანობა; პავრის მასის ტემპერატურის გაზრდა ( $\Delta T > 0$ ), ჩეულებრივად ზრდის აბსოლუტურ ტენიანობას ( $\Delta a > 0$ ), ნიადაგის დანესტიანების შემთხვევაში იზრდება ართქლებაც და ღრუბლიანობის ბალანსიც ( $\Delta n > 0$ ). წყლის ორთქლი ინტენსიურად ასხივებს ენერგიას ინფრაწითელ დიაპაზონში, ასევე ღრუბელი აირეპლაებს დაცემულ რადიაციას და ამცირებს მის წილს ( $\Delta R < 0$ ).


ღრუბელი კარგად შთანთქავს და გამოასხივებს ინფრაწითელ რადიაციას, გამოსხივებულს დედამიწის ზედაპირიდან, ამიტომ ღრუბლის ბალიანობის გაზრდა ( $\Delta n > 0$ ), ამცირებს დედამიწიდან მოსულ რადიაციას ( $\Delta Ts < 0$ ). ამ მოვლენებს შორის შექცევადი კავშირის სქემას აქვთ სახე: [5]:



ბ) ტემპერატურა - ალბედო. დედამიწის საგები - გამომსხივებელი ზედაპირის ტემპერატურის დაწევას ( $\Delta Ts < 0$ ) მოყვება თოვლის მოსვლა, ყინულის წარმოქმნა კ.ი. ალბედოს გაზრდა ( $\Delta As > 0$ ). ალბედოს გაზრდა ასესტებს მზის რადიაციას, რაც იწვევს  $Ts$ -ის შემდგომ შემცირებას, ამრიგად ფორმირდება დადგებითი შექცევადი კავშირი, რომელიც იწვევს საწყისი შეშფოთების გაზრდას.

გ) ტემპერატურა  $\leftrightarrow$  რადიაცია. ცნობილია რომ რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა შეიძლება წარმოდგეს შემდეგი მწერივის სახით [6]:

$$R_s(t) = Ro \sum_{n=1}^{\infty} (R_n^1 \cos n\omega t + R_n^{11} \sin n\omega t) \quad (6)$$




სურ. 1.

სადაც  $R_0$  რადიაციის საშუალო მნიშვნელობაა,  $\omega = 2\pi/T$  - დღდა-მიწის ბრუნვის კუთხური სიჩქარე,  $T$  - რხევის პერიოდი (დღე-დამუ), თუ პაერის ტემპერატურა განპირობებულია ძირითადში მზის რადიაციის ცელილებით, მაშინ ტემპერატურისათვისაც ეწერთ [7]:

$$T(0, t) = T_0 + A_1 \cos(\omega t - T/2\eta_0 - \alpha) \quad (7)$$

სადაც  $\varphi$  საწყისი ფაზაა,  $\eta_0$  - დაგვიანების პარამეტრი, რომელიც დამოკიდებულია რელიეფის ფორმაზე და სიმაღლეზე. რადიაციისა და ტემპერატურის ურთიერთ-უპაკავშირის დასადგენად აღვეული იქნა საქართველოს სხევადასხვა რეგიონში ტემპერატურისა და მოღრუბლეულობის მონაცემები (თელავი, თბილისი, სოხუმი) წლის სეზონების ცენტრალური თვეებისათვის. გამოიყენებოდი იქნა რადიაციისა და ტემპერატურის დღე-დამური სელა და ექსტრემალური მნიშვნელობები. სურ. 2 და სურ. 3-ზე მოყვანილ შესაბამის გრაფიკებზე რადიაცია 20%-ის, ხოლო ტემპერატურა 10- 15%-ის სიზუსტით მოიცემა (არ არის გათვალისწინებული სინორივე, სითბური ნაკადები და სხვა), ხოლო მათ შორის შექცევადი კავშირი დამაჯერებელია (კორელაციის კოეფიციენტი 0,75-ს აღემატება).

ასეთი მიღობმა გამართლებულია იმითაც, რომ რეგიონის 71% ტერიტორია მთაგორიანია, ხოლო პროცესები ამიერკავკასიაში შეიძლება შედარდეს სითხის დინებას განსაზღვრული სიგანის არჩევი და გამოყენებული იქნას ზონალური მოდელი [9]. მთა-გორიან ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირის მოცულობის ხშირი მკეთრი ცვლილება იწვევს სითბური ბალანსის სივრცულ რხევებს, ძირითადად აღბედოს არაერთგვაროვნების ბაზაზე. განსახილეველ რეგიონზე ზაფხულის თვეებში აღბედოს საშუალო თვიური მნიშვნელობები იცვლება კოლხეთის დაბლობზე 19-20%-ის, ქართლის ვაკეზე და ალაზნის ველზე 17-21%-ის ზღვარში, ბუნებრივია ცალკეულ წწ-ში შეიმჩნევა სერიოზული გადახრები. ზედაპირის რელიეფი, თვით ქალაქის შენობებიც კი იწვევს პაერის ნაკადის აღგილობრივი ცირკულაციის ცვლილებას ძირითადად დედამიწის ეფექტური გამოსხივების დამოკიდებულებით. აღბედოს როლის შეფასებისათვის სითბურ ენერგეტიკულ პროცესებში მოვახდინეთ დედამიწა-ატმოსფეროს რადიაციული ბალანსის თითოველ განსახილეველ რეგიონზე, შესაკრების შესაბამისი გათვლები აღბედოს მნიშვნელობის ცვლილების ფართო დიაპაზონისათვის [10]. მოყვანილი გრაფიკებიდან (სურათი 4-5) ჩანს, რომ რაც ნაკლებია ზედაპირის არეალის უნარიანობა მთ მკეთრად ისრდება რადიაციული ბალანსის მოკლე ტალღოვანი შემადგენელი და თვით რადიაციული ბალანსი R<sub>s</sub>. ამასთანავე მკეთრი სეზონური ცვლილება R<sub>s</sub> და R დაიკვირვება აღბედოს უმცირესი მნიშვნელობისათვის  $t=0,05$ . აღბე-





სურ. 2.

აგარენტი



1 მდგრადი 0, განუ-0-0

27 მდგრადი 0, განუ-0-0






15 აგრძელებული ვარგი 3-10 ბ.01

6 აგრძელებული განუ-0-0.2




15 03 06 0, განუ-10, ვარგი 13-15 ბ.01-8%

10 03 06 0, განუ-0-2.2




სურ. 3.

დოს გაზრდით 0,5-მდე რადიაციული ბალანსი პრაქტიკულად ერთხანრია გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ცენტრალური თვეებისათვის. გამოთვლილი და დაკვირვებული მნიშვნელობები (ქ. თბილისი) კვლაშე კარგ თანხმობაშია, როცა  $r=0,15$  და  $r=0,85$  (ხოტი, რუხი მიწა, მცირე ტყე). ამიტეკავეასის რეგიონი ხასიათდება უფელგარი როინტრაციის და დახრილობის ფერდობების სიმრავლით, ამიტომ ენერგეტიკული კლიმატური დახასიათების მიზნით კომპლექსურად უნდა იქნას გათვალისწინებული კველა თავისებურებები, რაც შესაძლებელია მოდელურ ამოცანებში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოდელური გათვლები, რომლებიც სითბური გაზების ეფექტებთან ერთად ითვალისწინებენ სხვადასხვა სახის აეროზოლურ შემადგენლობასაც იძლევიან არაერთგვაროვან პასუხს [1]. კერძოდ, აეროზოლური ეფექტი იწვევს კლიმატური სისტემების არა დათბობას, არამედ აცივებას და მოქმედებას სითბური გაზების ეფექტის საწინააღმდევოდ. საერთოდ კი გლობალური ტემპერატურის ზრდის მოსალოდნებლი საშუალო სიჩქარე  $0,2^{\circ}\text{C}$  - ათწლეულში აღიმატება კლიმატის ქვესისტემების შეგუბის უნარს და ამიტომ დგება კაცობრიობის წინაშე საშიში მოვლენების შემდგომი განვითარების მოწესრიგების აუცილებლობა.



სურ. 4.



სურ. 5.

## ლიტერატურა:

1. К.Смит Основы прикладной метеорологидромет. изд. Л. 1987.
2. ზ. ხვედელიძე, გ. გურგენიძე, ატმოსფერული დინამიკა და აეროზოლური მინარევები ტროპოსფეროში , საქ. მეც. აკადემიის მომბეჭ 152, 3, 1995.
3. Z. Khvedelidze, N. Ramishvili, "The Nature of Changes of meteorological values in the earth surface layer of atmosphere for Georgian region." Bulletin of the Georgian academy of sciences 159, N3. 1999.
4. З. Хведелидзе, Влияние орографии и  $\beta$  эффекта на волновые движения в атмосфере Метеорология и гидрология, N10, 1982.
5. И.Л. Кароль, Введение в динамику климата земли. гидрометиздат. Л. 1988.
6. ლ. მატვეევი, ზოგადი მეტეოროლოგიის კურსი - ატმოსფეროს ფიზიკა. თსუ გამომცემლობა 1967.
7. ზ. ხვედელიძე, ა. ჩიგალაძე, საქართველოს რეგიონის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის სათბური რეკომის ბუნება. "მეცნიერება და ტექნიკა", 10-12, 1999.
8. З. Хведелидзе, Т. Давиташвили. Об учете влияния орографии в региональных численных моделях прогнози геопотенциаль на среднем уравнении атмосферы. Труды ТГУ, №26 1988.
9. Z. Khvedelidze. To the Study of Hydrodynamic Equation of Atmosphere Zonal Model on the Territory of the Caucasus, Bulletin of the Georgia Academy of Sciences, 155 N1 1977.
10. З. Хведелидзе, А. Топчишвили, Учет рельефной особенности региона при вычисленной радиационного баланса, Bulletin of the Georgia Academy of Sciences, Т. 160, N1, 1999.
11. ქ. თავართქილაძე, ე. ელიზბარაშვილი, დ. მუმლაძე ჯ. ვაჩნაძე, საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების გმბირიული მოდელი, თბილისი, 1999.

З.В. Хведелидзе, Н.Б. Рамишвили, А.Е. Читаладзе,  
Т.Ш. Шаламберидзе, Э.В. Тагвадзе

## Динамика атмосферных процессов и климат горных регионов.

### Резюме

Давно доказано, что климат зависит от общей циркуляции атмосферы и от свойств поверхностей, разделяющих землю и атмосферу, причем их влияние усиливается при уменьшении масштаба процессов. Горные препятствия, в свою очередь, способствуют усилению турбулентных воздушных потоков и этим создают особые погодные и климатические условия.

Очень важно изучать динамику атмосферных процессов в горных странах, так как она обеспечивает перемещение воздушных масс вместе с загрязняющими веществами. Поэтому проблема загрязнения атмосферы имеет регионально-локальный характер.

В данной статье, вместе с общей постановкой задачи, рассматриваются взаимообратные связи между разными метеорологическими элементами, особенно между температурой воздуха и радиацией Солнца, с учетом альbedo территории в различных регионах республики Грузии.

Указана возможность связи изменения климата и погодных условий в локальных регионах с волновыми процессами над этими регионами.

Предположение, что данный подход и полученные результаты после соответствующего уточнения, могут быть применены в других, сходных с исследуемыми, климатических регионах.

Z. V. Khvedelidze, N. B. Ramishvili, S. E. Chitaladze,  
T. S. Shalamberidze, E. V. Tagvadze

## Dynamics of Atmospheric Processes and Climate of Mountainous Regions

### Summary

It has already been proved that climate depends on the general circulation of atmosphere and the characteristics of the layers between the earth and atmosphere, whereas their influence is increased with decrease of the processes scale. The mountainous barriers themselves reinforce air turbulent fluxes and, so, they form special weather and climatic conditions. It is very important to study the dynamics of atmospheric processes in the mountainous countries, as it provides the transfer of air masses with polluting agents. That is why the problem of air pollution has the regional

and local character. In the article side by side the statement of the general problem also considered the interrelations among the different meteorological elements especially between temperature and solar radiation considered. This relation considers the albedo of the researched territory in the various regions of Georgia. And also the article points at the possibility to figure out how climate can be altered in different weather conditions in local areas with the wave processes over this territory. The given approach and the obtained results indicate that the presented work needs to be proceeded to get more accurate outcomes. After performed procedure the research could be applied in another climate regions that resemble with already researched ones.

## ატოლის გარემონდის მარაბის ცელის გამოსახულების სამრთო მოღრუბლებისთან

წყლის მარაგი ატოლის განისაზღვრება წყლის ორთქლის რაოდენობით, რომელსაც ქვეყნის ზედაპირზე დაყრდნობილი, ერთეულოვანი განიკვეთის ფართობის მქონე ერტიკალური ატოლის სვეტი შეიცავს. მას უაღრესებად დიდი მნიშვნელობა აქვს ატოლის გარემონდის მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით მოღრუბლივი და გრძელტალიანი რადიაციული ნაკადების გაურცელებაზე. გააჩნია რა სუსტი თუ ძლიერი რადიაციის შთანთქმის სელექტიური უბნები, დაწყებული ტალღის სიგრძის 0,6 კმ-დან მოკლე და გრძელტალიანი გამოსხივების მთელ დიაპაზონზე, ძირითადად წყლის მარაგის რაოდენობაზე დამოკიდებული ამა თუ იმ რადიაციული ნაკადის სიდიდე ატოლის გარემონდის მიზნით.

წყლის მარაგის რაოდენობას ცალსახად განსაზღვრავს წყლის ორთქლის რაოდენობის ან პარციალური წევისა თუ ხვედრითი სინოტივის ერტიკალური განაწილება და საქართველოს პირობებში იგი მნიშვნელოვანწილად შესწავლილია [1-5]. რადიაციული ნაკადების თეორიული გამოთვლებისას მოწმენდილი ცის დროს გადამწვევტი მნიშვნელობა ატოლის მარაგის განაწილებას აქვს. წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეაღებს იმის შეფასება, თუ რამდენადაა შესაძლებელი ჭოველდღიური, ცვალებადი მოღრუბლების შემთხვევაში განსაზღვრული ატოლის გარემონდის წყლის ორთქლის რაოდენობა გამოვიყენოთ მოწმენდილი ცის შემთხვევაში.

დასტული ამოცანის გადასაჭრელად გამოვიყენეთ საქართველოში დაკვირვების 39 პუნქტის 1936-91 წლების მონაცემები და ისინი გავანაწილეთ ოთხ ძირითად ქვეჯგუფში ისე, როგორც ეს განხორციელა ტემპერატურაზე ღრუბლითი გავლენის შესწავლის დროს [5]. ამრიგად, 39 დაკვირვების პუნქტის საშუალო თვითური წყლის ორთქლის დრეკადობა და საერთო მოღრუბლების დავუკავით ჯგუფებად:

1. დასავლეთ საქართველოს მთისწინეთი (15 დაკვირვების პუნქტი);
2. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე (12); 3. კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მაღალმთიანი ზონა (7) და 4. მესხეთ-ჯავახეთის ზეგანი (5 დაკვირვების პუნქტი).

თითოეული დაკვირვების პუნქტის 56 წლის პერიოდის მონაცემების მიხედვით შევეცადეთ მოგვენახა ანალიზური კავშირი წყლის ორთქლის დრეკადობასა და საერთო მოღრუბლების შროის.

ეს კავშირი წარმოვადგინეთ როგორც წრფივი, ასევე მე-3-ე რიგის პოლინომის სახით. ე.ი. კავშირი წყლის ორთქლის დრეკადობას (E) და



## საერთო მოღრუბლულობას ( $G_o$ ) შორის წარმოვადგინეთ ფორმულები


$$G_o = a + bE \quad (1)$$

$$G_o = c + dE + eE^2 + fE^3 \quad (2)$$

(1) და (2) გამოსახულებაში შემავალი ემპირიული კოეფიციენტები, დაკირვების პუნქტების მიხედვით, განესაზღვრეთ უმცირეს კვადრატულ მეთოდით. უნდა აღინიშნოს, რომ დისპერსიის დიდი მნიშვნელობის გამო მიღებულ დამოიდებულებათა საიმდობა დაბალია, მაგრამ, ეს დამოიდებულებები ცალკეულ პუნქტებში რეგიონების მიხედვით იმდენად სტაბილურია, რომ მიღებული კავშირი  $G_o$ -სა და E-ს შორის ეჭვს არ უნდა იწვევდეს. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს წყლის ორთქლის დრეკადობასა და საერთო მოღრუბლულობას შორის შემდეგ დამოიდებულებას: დასავლეთ საქართველოს მთის-წინეთში, დაწყებული 5 მბ-დან, წყლის ორთქლის დრეკადობის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს საერთო მოღრუბლულობის უმნიშვნელო შემცირებას, რაც დაახლოებით  $15+18$  მბ-მდე გრძელდება  $15+18$  მბ-ზე ხდება დამოიდებულების შეცვლა და წყლის ორთქლის შემდგომი ზრდის პარალელურად ადგილი აქვს საერთო მოღრუბლულობის თანდათანობით, უმნიშვნელო ზრდას. ღრუბლიანობის გავლენა წყლის ორთქლის დრეკადობის რეკიმულ მდგომარეობაზე ასევე უმნიშვნელოა საქართველოს დანარჩენ რეგიონებშიც, მაგრამ  $G_o$ -სა და E-ს შორის კავშირი დანარჩენ სამიერ რეგიონში ერთაირ სურათს იძლევა. კერძოდ, მოცემული რეგიონისთვის სინოტივის მცირე მნიშვნელობების დროს, სინოტივის გაზრდას თან ახლავს საერთო მოღრუბლულობის გაზრდაც. წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო მნიშვნელობების დიადაზონში სინოტივის გაზრდასთან ერთად ხდება საერთო მოღრუბლულობის უმნიშვნელო შემცირება, ხოლო ორთქლის დრეკადობა აღწევს რეგიონისთვის დამახასიათებელ ნირმაზე დიდ მნიშვნელობებს, წყლის ორთქლის დრეკადობის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს საერთო მოღრუბლულობის ზრდას.

საილუსტრაციოდ სურ. I-ზე დატანილია დაკირვების სამი პუნქტის, დაბლაციხის, თელავის და მაღალმთიანი ყაზბეგის  $G_o$ -სა და E-ს საშუალო თვიური მონაცემები. ამ მონაცემებით და უმცირეს კვადრატულ მეთოდის გამოყენებით განსაზღვრულია ემპირიული კოეფიციენტები  $a, b, c, d, e$  და  $f$  და ნახაზზე (1) და (2) ფორმულებით აგებულია შესაბამისი წირები.

სურათზე მოცემული დაკირვების სამი პუნქტისთვის წყლის ორთქლის დრეკადობის ცვლილების დიაპაზონი მკეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ობიექტურად (უმცირეს კვადრატულ მეთოდით) განსაზღვრული კავშირი E-სა და  $G_o$ -ს შორის იდენტურია. კერძოდ, დაახლოებით  $5+8$  მბ-მდე E-ს გაზრდის პარალელურად ადგილი აქვს  $G_o$ -ის გაზრდასაც,  $15+18$  მბ-მდე E-ს ზრდის პროცესი  $G_o$ -ის შემცირების



სურ. 1. ქაგშირი წყლის ორთქლის დრეპარობასა და საერთო მოდერუბლულობას შორის დაბლა-ციხეში (ა), თელავსა (ბ) და მ/მთ ყაზბეგში (გ) წრფივი (წყვეტილი) და მე-3 რიგის პოლინომით (უწყვეტი) აპროქსიმაციის შემთხვევაში.

ტენის განვითარების სახიათდება და დაწყებული 15+18 მბ-დან E-ს გაზრდასთან ერთად ადგილი აქვს G<sub>0</sub>-ის გაზრდასაც. როგორც უკვე აღნიშნეთ, მათ უფლება კანონზომიერება უძლებლივ დაკვირვების უველა პუნქტისათვის მეტადაგება დება.

წყლის ორთქლის დრეკადობის საერთო მოლრუბლულობას დამოკიდებულების კანონზომიერება, როგორც აღვნიშნეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სტაბილურია. ეს ნათლად ჩანს სურ-2-ზე დატანილი 10 სხვადასხვა დაკვირვების პუნქტის მიხედვით მე(2)-ე ფორმულით აგველ G<sub>0</sub>-სა და E-ს შორის კავშირიდან. სურ. 2-ზე დატანილია დაკვირვების პუნქტები დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის დაჯგუფებიდან, ხოლო სურ-2 ბ-ზე დატანილი დაკვირვების პუნქტების მონაცემები, საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდანაა აღებული.


რაოდენბრივი კავშირი წყლის ორთქლის დრეკადობასა და საერთო მოლრუბლულობას შორის, როგორიც (1) და (2) ფორმულებითაა წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიაზე, დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის გარდა, ლოკალურია, ე.ი. ხასიათდება დამოუკიდებელი ემპირიული კოეფიციენტებით და მათი რეგიონალური ნიშნით გაერთიანების შემთხვევაშიც კი ძირითადად კარგავს ზემოთ აღწერილი კანონზომიერების ნიშნებს. ეს ნათლად ჩანს ცხრილში 1 მოცემული დაჯგუფების მიხედვით გახაშუალებული ემპირიული კოეფიციენტებისა და მათი საშუალო კვადრატული გადახრების მნიშვნელობებიდან. ისინი მხოლოდ უხეში მიახლოებით აღწერენ იმ კანონზომიერებას, რომელიც ცალკეული დაკვირვების პუნქტებისთვის გამოკვეთილია.

ცხრილი 1-ის ანალიზი გვიჩვნებს, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული კანონზომიერება საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე ახასიათებს ზოგად თვისებრივ კავშირს E-სა და G<sub>0</sub>-ს შორის. ეს კავშირი მთელ ტერიტორიაზე ულინდება, მაგრამ გარდატვების (კქსტრემალური) მნიშვნელობების წანაცვლებით ცალკეული რეგიონების მიხედვით.

### ცხრილი 1

(1) და (2) ფორმულების გასაშუალებული ემპირიული კოეფიციენტების მნიშვნელობები რეგიონების მიხედვით

N	მდგრადი დასახულება	G <sub>0</sub> =c+E		G <sub>0</sub> =c+dE+c <sup>2</sup> +fE <sup>3</sup>			
		a	b	c	d	e	f
1	სამართლებული საქართველოს მთლიანი ზოგად თვისებრივი კავშირი	სამ.	6.95	-0.048	6.833	0.103	-0.0221
		ს.კაპ.	0.544	0.035	0.828	0.172	0.0136
2	აღმოსავალი საქართველოს გარდა ტერიტორიაზე ულინდების გარემონტირების მნიშვნელობები	სამ.	6.94	-0.101	4.136	0.794	-0.0835
		ს.კაპ.	0.433	0.031	1.318	0.410	0.0394
3	კულტურული სამსახურის უფროსობის მდგრადი თვისებრივი კავშირი	სამ.	6.54	-0.054	5.229	0.557	-0.0809
		ს.კაპ.	0.800	0.120	0.950	0.342	0.046
4	მუსიკა-კულტურის უფროსობის მდგრადი თვისებრივი კავშირი	სამ.	6.66	-0.054	3.537	1.078	-0.0891
		ს.კაპ.	0.370	0.060	1.429	0.429	0.0859



სურ. 2. ქაფშირი წყლის ორთქლის დრეპადობასა და საერთო მოდრუბლულობას შორის დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის (ა) დაქვირვების პუნქტების (1-ანასეული, 2-ბათუმი 3- დაბლა ციხე, 4- წალენჯიხა, 5- საქარა) და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (ბ) განლაგებული პუნქტების მიხედვით (1- თბილისი, 2- გურჯაანი, 3- შირაქი, 4- გამისონის გადასასვლელი, 5- მესტია).

## ლიტერატურა

1. Давитая Ф.Ф., Тавартиладзе К.А. Проблема борьбы с градобитием, морозами в суптропиках и некоторыми другими стихийными процессами. Новые аспекты, Тбилиси, Мецниереба, 1982.
2. Тавартиладзе К.А. Некоторые особенности влагосодержания атмосферы в условиях Главного Кавказского Хребта. Труды ЗакНИГМИ, вып. 22. 1966.
3. Тавартиладзе К.А. К вичеслению содержания водяного пара в атмосфере. Сообщ. АН ГССР, т. 43, №1, 1966.
4. Тавартиладзе К.А. Шенгелия И.А. Моделирование вертикального распределения влаги в свободной атмосфере. Сообщ. АН ГССР, т. 111, №3, 1983.
5. ქ. თავართქილაძე, ი. შენგელია, ღრუბლიანობის გავლენა  
ატმოსფერობის მიწისპირულ ტემპერატურაზე. (ამავე კრებულში).
6. Шенгелия И.А. Моделирование спектрального радиационного поля на территории Западной Грузии. Сообщ. АН ГССР, т. 130, №1, 1988.

**К.А. Тавартиладзе, И.А. Шенгелия**

### Связь между изменением запаса воды в атмосфере и общей облачностью

#### Резюме

По среднемесячным данным 39 наблюдательных пунктов за период 1936-1991 гг., на территории Грузии была изучена связь между упругостью водяного пара и общей облачностью атмосферы. Изменение облачности оказывает незначительное влияние на изменение упругости водяного пара. На территории Грузии - два вида указанной связи. В Западной Грузии с увеличением упругости водяного пара ( $E$ ) облачность ( $G_0$ ) незначительно уменьшается, при  $E > 15$  мб картина меняется - с ростом  $E$  увеличивается, и  $G_0$ . В остальных регионах Грузии с ростом  $E$  в начале облачность увеличивается, в интервале  $8\text{мб} < E < 18\text{мб}$  облачность уменьшается, а затем опять увеличивается.

**K.A. Tavartkiladze, I.A. Shengelia**

### Relation Between the Water Storage in the Atmosphere and Total Cloudiness Summary

Relation between the pressure of water vapor and total cloudiness in the atmosphere based on mean monthly data of 39 observation posts during 1936-1991 years in the territory of Georgia has been studied. Change in cloudiness slightly affects the change of water vapor. There are two types of such relation in the Georgian territory. In Western Georgia while the pressure of water vapor ( $E$ ) increases - cloudiness ( $G_0$ ), slightly decreases, when  $E > 15\text{mb}$  the picture changes - when  $E$  increases  $G_0$  increases as well. In the rest regions of Georgia with the increase of  $E$  - cloudiness at first it increases but within the interval  $8\text{mb} < E < 18\text{mb}$  cloudiness at the beginning decreases and then increases again.



## აღმოსავლეთ საქართველოში ელექტრო დღითა რიცხვის მრავალფლიური გარიანციანი

ელექტრი ბუნების საშიში მოვლენების კატეგორიას მიეკუთვნება. იგი დიდ საშიშროებას წარმოადგენს საავიაციო ტრანსპორტისათვის, ნავთობ და აირსადენებისათვის, მაღალი ძალის ელექტრონხაზებისათვის. დიდი ზარალი მოაქვთ ელექტრით გამოწვეულ ტყის ხანძრებს: 6 ათასი ხანძარი 70 მლნ. დოლარზე მეტი ზარალით საშუალოდ წელიწადში - ეს ელექტრების მოქმედების შედეგია მხოლოდ აშშ-ში. 1990-92 წლების მონაცემებით აშშ-ს სამ შტატში (კოლორადო, იუტა, ვაიომინგი) ელექტებით მიყენებულმა ზარალმა წელიწადში შეადგინა 355 მლნ. დოლ. [1]. ყოფილ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ელექტროგადამცემი ხასების არასტაბილური მუშაობის გამო ზარალმა წელიწადში 70 მლნ. მანეტს მიაღწია [2]. უამრავი ხალხია დაღუპული ციური ისრებით: ევროპაში სტატისტიკური მონაცემებით ელექტრის ხაშუალოდ წელიწადში 40 და ამერიკაში კი 232 ადამიანი იღუპება. ცნობილია, აგრეთვე, რომ ელექტების დროს ხდება გაელ-სისხლძარღვთა დავადებების გამწვავება [3].

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ელექტებს სარგებლობაც მოაქვთ. ისინი დიდ გაელექას ახდენენ ატმოსფეროს ქიმიურ შემადგენლობაზე: ყოველი გაელექბის დროს ჰაერში წარმოიქმნება ოზონი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის; წარმოიქმნება აგრეთვე აზოტის ორგანგი, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტად საჭირო სასუქს წარმოადგენს. ყოველი გაელექა 2-3 მს აზოტის ორგანგის იძლევა. დედამიწის ზედაპირზე წელიწადში წვიმასთან ერთად ბმული აზოტის დაახლოებით 1 მილიონი ტონა ჩამოვლინება [4-7]. საშუალოდ დედამიწის ზედაპირზე ელვა ეცემა დღე-დამეში  $8.10^6$ -ჯერ. ფართობები, რომლებიც უკავია ელექტებს, ყოველ დღე-დამეში მერყეობს  $4.10^5$  კმ<sup>2</sup>-დან დილის 4 საათზე,  $11.10^5$  კმ<sup>2</sup>-დე 14-20 საათზე [8].

ცნობილია, რომ ელექტები კლიმატის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს და ხაქმაოდ მგრძნობიარენი არიან მისი ცვლილებებისადმი. ამიტომ ამ ბოლო ათწლეულში ძალიან აქტუალური გახდა ელექტების პარამეტრების და მათზე ანთროპოგენური ზემოქმედების შესწავლა-შეფასება.

საქართველო წარმოადგენს დედამიწის ერთ-ერთ ელექტებაში რეგიონს, ამიტომ ზემოთ ნახსენები, ელექტრომთან დაკავშირებული საკონტენ-



საქმაოდ აქტუალურია წევნი ქვეყნისათვისაც. ამასთან დაკავშირებით გარემონტინირდება ინფორმაციას ელექტრონულ აქტებზე არა მარტო სამცველი მნიშვნელობების დარღვევის არამედ პრაქტიკულიც - ხახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების სათვის.

ამ გამოკვლევის მიზანია ელექტრინობის ურთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრის - ელექტრის დღეთი რიცხვის (ელ.დ.რ.) სივრცულ-დროითი განაწილების და ცვლილების თავისებურებების დაღვენა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მასზე განლაგებულ კლიმატურ ზონებში [9].

საქართველოს ტერიტორია, გაბატონებული ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების, ცალკეული რაიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების, გეოგრაფიული მდებარეობის, რადიაციული სითბოს მიღება-გაცემის და რადიაციული ბალანსის მდგრელების გადახრების, ძირითადი კლიმატური კლემბენტების რეაქტიული გათვალისწინებით, დაუღილია 15 კლიმატურ ზონად. აღმოსავლეთ საქართველოში არის 8 ასეთი ზონა [9]. როგორც სერ. I-დან ჩანს, ეს არის V-VII, X-XII, XIV და XV ზონები.

აღმოსავლეთ საქართველოს თითოეულ კლიმატურ ზონაში ელექტრის დღეთი რიცხვის განაწილების და მისი ცვლილების ტენდენციის (ტრენდის) დასადგენად გამოყენებული იქნა ფიზიკურ-სტატისტიკური მეთოდი [10]. ამ შეთოდს ის უპირატესობა გააჩნია, რომ მისი გამოყენებისას განიხილება დაკვირვებათა გრძელი რიგები, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ამა თუ იმ კლიმატური პარამეტრის ცვლილება დროშიც და სივრცეშიც.

კედლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს 53 მეტეოროსადგურის 1936-1990 წლების თბილი პერიოდის (IV-X თვეები) მონაცემები ელ.დ.რ.-ზე. (სადგურების სია მოყვანილია დანართ I-ში).

ელექტრის დღეთი რიცხვის სივრცული განაწილების დასადგენად გამოთვლილი იქნა ამ პარამეტრის სტატისტიკური მახასიათებლები: მაქსიმალური (max), მინიმალური (min) და საშუალო (n) მნიშვნელობები, ხერხდარტული გადახრები (σ) და ვარიაციის კოეფიციენტები (Cv) თითოეულ სადგურისათვის. გამოთვლები წარმოდგენილია ცხრილ I-ში

ამ ცხრილში მეტეოროსადგურები დაჯგუფებულია კლიმატური ზონების მიხედვით (სადგურების ნომრები მოყვანილია დანართ I-ში მოცემული სიის მიხედვით). ეს შესაძლებლობას იძლევა გავაანალიზოთ ელექტრის დღეთი რიცხვის სივრცული განაწილება რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

V ზონაა - ზემო და ქვემო ქართლის ვაკე-დაბლობები.

ამ კლიმატურ ზონაში 17 მეტეოროსადგურის მონაცემებია



სურ. 1

აღმოსავალეთ საქართველოს ტერიტორიის დაზღვიურნება კლიმატური ზონების მიხედვით [9].  
 (რომაული ციურტეპით აღნიშნულია კლიმატური ზონები, არამედი ციურტეპით შეტყოსაღგურები).

აღმოსავლეთ საქართველოს 53 მეტეოსადგურის 1936-1990 წლების თბილი პერიოდის ელექტრიან დღეთა რიცხვის სტატისტიკური მახასიათებლები.  
(სადგურები დანაწილებულია კლიმატური ზონების მიხედვით)

კლიმატური ზონა	სადგურის სიმძიმე წლები	სადგურის დასახელება	სიმძიმე ზოგადი დღისის (წ)	ყველაზე დიდი უნიტიკური უნიტიკური (წელი)	სტატისტიკური მახასიათებლები				
					max	min	n	σ	Cv%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
V - ზემოთ და ქმნით ქართლის ნაკრებადლობები	23	თბილისი (ობსერვაცია)	403	55	52	19	34,0	7,7	23
	33	მარნეული	432	38	61	15	34,4	10,1	29
	24	თბილისი (ამსებ)	470	54	58	21	35,0	9,1	26
	11	ბოლნისი	534	55	67	24	41,7	10,7	22
	39	სამტორი	549	37	50	20	32,5	7,7	24
	35	გურიანი	550	55	87	22	45,7	12,3	27
	15	გურია	588	53	65	13	34,7	10,5	30
	47	შავლავერი	650	31	60	23	40,3	9,4	23
	51	ხაშური	690	50	69	18	43,2	12,9	30
	4	ახალგორი	760	50	44	15	27,9	7,3	26
	25	თბილისი (მთაწმინდა)	766	47	55	11	34,0	9,9	29
	38	ხაგარეული	802	52	55	21	37,9	8,0	21
	48	ცხინვალი	862	53	49	16	29,7	7,5	25
	20	დუშეთი	922	54	77	17	44,6	11,3	25
	14	გომბორი	1085	44	56	17	36,9	9,3	25
	28	თიანეთი	1099	55	71	15	38,6	11,5	30
	34	მთა-საბუეთი	1242	51	42	14	26,9	7,9	29
საშეადო კრით სადგურებე					60	18	36,7	9,6	26
VI - აღმოჩნდის მახლო	50	წნევი	223	54	51	21	33,0	6,5	20
	31	ლაგოდეხი	362	53	66	18	44,4	10,9	25
	17	გურჯაანი	410	55	61	23	40,0	9,5	24
	45	კვარელი	443	53	59	24	38,2	8,3	22
	7	ახმეტა	567	52	56	12	35,2	11,2	32
	26	ოცნება	568	55	73	30	48,8	9,4	12
	40	სიღნავი	795	39	62	15	42,3	12,7	30
	საშეადო კრით სადგურებე					61	20	40,3	9,8



		III		4		5		6		7		8		9	
		XII - აგენტურული და მოწვევული სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		XII - აგენტურული და მოწვევული სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		VII - იმიტობის სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		X - აგენტურული და მოწვევული სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		XII - აგენტურული და მოწვევული სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		VII - იმიტობის სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი		X - აგენტურული და მოწვევული სამსახურის მიერ მიღებული ქადაგის კოდი	
	13	გარდამარტი		300	53	54	12	31,4	9,0	29					
	46	შერაქა		555	52	50	17	32,3	8,0	25					
	41	კუაპინა		750	27	33	10	19,0	5,7	30					
	18	ელემენტური ქადაგი		800	32	56	23	37,7	7,3	19					
		საშუალო კრით სადაცვაზე				48	16	30,1	7,5	26					
	42	ფასინიური		1070	55	73	17	39,5	10,4	26					
	52	ჯავა		1109	47	58	16	32,3	8,5	26					
		საშუალო კრით სადაცვაზე				66	17	35,9	9,5	26					
	9	ბართასია		1325	51	64	13	32,0	12,0	38					
	16	გაფაფური		2194	52	72	15	46,5	13,5	29					
	21	კრიანი		2240	43	64	24	38,5	9,8	26					
	53	ჯერის ჰავალი ტესტი		2395	40	58	15	33,6	11,2	33					
		საშუალო კრით სადაცვაზე				65	17	37,7	11,6	32					
	43	ჭაბუქეთი		1744	38	34	10	22,3	5,7	26					
	37	რამალია		1880	34	59	17	35,3	9,5	27					
	44	ჭაბუქეთი (მცურავი)		3653	42	40	10	23,3	7,3	31					
		საშუალო კრით სადაცვაზე				44	12	26,9	7,5	28					
	12	ბორჯომი		789	55	60	21	38,0	8,8	23					
	27	თელავი წერალი		1140	55	69	23	50,6	10,0	20					
	2	აფიშერი		1185	41	55	16	35,7	10,1	28					
	32	ჩანგლიახი		1194	55	76	24	56,6	11,3	20					
	19	დამანისი		1256	52	74	21	42,1	10,6	25					
	1	აბასოუაშვილი		1265	55	76	24	49,5	12,1	24					
	30	კოჯორი		1338	53	57	17	29,9	8,9	30					
	8	ბაკურიანი		1665	55	83	17	52,7	11,8	22					
		საშუალო კრით სადაცვაზე				69	20	44,4	10,5	24					
	6	ახალციხე		982	55	81	23	55,5	11,0	20					
	3	ასპინძა		1098	48	65	20	45,9	11,1	24					
	49	წალენია		1457	53	52	16	33,0	8,0	24					
	5	ახალქალაქი		1716	52	87	25	55,3	11,5	21					
	29	ქართახი		1863	50	96	15	51,3	18,2	36					
	10	ბორგამოვება		2077	36	80	16	51,5	17,4	34					
	36	ნინოწმინდა		2100	42	86	37	59,1	12,3	21					
	22	მერქონიკევა		2112	43	95	19	50,7	16,8	33					
		საშუალო კრით სადაცვაზე				81	21	50,3	13,3	27					

განხილული. საღვურების სიმაღლე ზღვის დონიდან იცვლება 403-დან 1242 მ-დან. აგ არ აღინიშნება ელ-დ.რ-ის წრფივი დამოკიდებულება აღვილის სიმაღლეზე. საშუალოს მაქსიმალური მნიშვნელობა აღინიშნება ბოლნისში (-48), სიმაღლე ზღ. დონიდან 534 მ., მინიმალური კი მთა-საბუეთში (~27), ეს მაშინ, როცა მისი სიმაღლე ზღ. დონიდან 1242 მეტრია. ზონა ხასიათდება ზომიერი ტენიანობით და მცირე ნალექებით. პაერის მასები შემოღიან ჩრდილო-დასავლეთიდან და ნალექებით. პაერის მასები შემოღიან ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან [11], მთა-საბუეთის ფერდობები ისე არიან განლაგებულნი, რომ პაერის მასები მათ გასწვრივ მოძრაობენ, რაც ხელს უჭილის მტლავრი კონკავციური ნაკადების წარმოშობას. ამ ზონაში ელექტრის ძირითადი გადაადგილების გზაზე [11] ხამი საღვურია - ხაშური, გორი, მუხრანი და კველა ამ საღვურზე ხამაოდ დიდია კლ-დ.რ-ი - 43, 35, 46 შესაბამისად. ბოლნისში და შულავერში ელექტრიან დღეთა დიდი რიცხვი ძირითადად განპირობებულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილი პაერის მასებით. ზონაში საშუალოდ ერთ საღვურზე მოდის - 37 ელექტრიანი დღე. მათი ცვლილების ინტერვალია 18+60.

VI კიბიმატური ზონაა ალაზნის ელი თავისი მთისწინეთით. ზონა შეიცავს კახეთის უმეტეს ნაწილს. განხილულია შეიძი მეტეორსადგურის მონაცემები. სიმაღლეები ზღვ. დონიდან იცვლება 223-დან 795 მ-დან. ელ. დ. რ-ის საშუალოს მაქსიმუმი აღინიშნება თელავში - 49, მინიმუმი წინორში ~33. ალაზნის ელს ძირითადში აღწევენ თრიალეთის ქედზე წარმოქმნილი ელჭექები, მაგრამ ცივ-გომბორის ქედიც არის ელჭექების კერა. მასზე წარმოქმნილი ელჭექები აღწევენ კავარელს, ლაგოდებს და საგარეჯოსაც. ელ. დ. რ-ის კვშირი სიმაღლეებთან აქაც არ არის წრფივი. საშუალოდ ერთ საღგურზე ელ. დ. რ-ი შეადგენს 40, ხოლო ცვლილების ინტერვალია 20-61.

Х ზონა ადმისიავლეთ კავკასიონის მთაშუა და მთისწინეთის ტერიტორია  
ორი მეტეოსადგურის მონაცემებით მოყვანილი ცხრილში. მათი  
სიმაღლეები ზღ. ღონისძან შეადგენს 1070 მ. და 1109 მ-ს. ხამუალოდ  
ერთ სადგურზე კლდოვა აღწევს -36. მიხი ცვლილებების ინტერვალია  
17+66. ქლიმატი შეამოინანია და ზომიერად ნოტიო.

XI კლიმატური ზონა აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმთიანეთია, რომელიც შედარებით მცირე ტერიტორიას მოიცავს. კერილში მოყვანილია ოთხი მეტეორებულების მონაცემები. საღგურების სიმაღლეები ზღ. დონიდან იცვლება 1305 მ-დან 2395 მ-მდე. ელ. დ.რ.-ის საშუალოს მაქსიმუმი აღწევს - 47 გუდაურში. გუდაურის ქედიც, [1]-ის თანახმად, აღილობრივი ელექტრობის ქერას წარმოადგენს. ელ.დ.რ.-ის საშუალოს მინიმუმი აღინიშნება ბარისახოში - 32 დღე. საშუალოდ ერთ საღგურზე წელიწადის თბილ პერიოდში ელექტრიკულ დღეთა რიცხვი აღწევს 38-ს, ცვლილების ინტერვალია 17+65. კლიმატი ზონაში მთანი და ნოტიო.

XII კლიმატური ზონა კავკასიონის ჩრდილო ფერდობებია. ცხრილში ამ ზონის სამი მეტეოროსადგურის მონაცემებია მოყვანილი. სადგურების სიმაღლეები ზღვის დონიდან შეადგენენ 1744, 1880 და 3650 მ-ს. ეს ბოლო - ყაზბეგი მდ/მთ ყველაზე მაღალი სადგურია საქართველოში. დაკირვებათა რიგები შედარებით მოკლეა და წყვეტილი, ამიტომ მონაცემები არც ისე საიმედოა. მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ საშუალოდ ერთ სადგურზე ელდრი-ი ამ ზონაში შეაღვენს ~27-ს, რაც საქართველოში ნაკლებია სხვა ზონებთან შედარებით. კლიმატი მთიანია და ნაკლებ ტენიანი.

XIV კლიმატური ზონა მესქეთისა და თრიალეთის ქედების სამხრეთ ფერდობებს აერთიანებს. მას საქმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. ცხრილში ზონა ოვა მეტეოროსადგურის მონაცემებითაა გაშუქებული. მათი სიმაღლეები ზღვის დონიდან იცვლება 789-დან 1665 მ-მდე. უმეტესი სადგურების სიმაღლეები 1000 მ-ს აღემატება. ელდრის საშუალოს მაქსიმუმი შეადგენს -56 (მანგლისი), მინიმუმი კი - 30 (კოჯორი). ამ ზონაში თრიალეთის ქედი არის აღილობრივი ელჭექების კერა [1], ამიტომაც აქ საქმაოდ დიდია ელჭექიან დღეთა რიცხვი. საშუალო ერთ სადგურზე მოდის 44 ელჭექიანი დღე მაქსიმუმი კი ტოლია 69 და მინიმუმი - 20-ს. კლიმატი მთიანი, ზომიერად ნოტიოა.

XV კლიმატური ზონა მოიცავს სამხრეთ საქართველოს მთიანეთის სამხრეთ ნაწილს. მოყვანილ ცხრილში რვა მეტეოსადგურის მონაცემებია დამტკავებული. მათი სიმაღლეები ზღვიდან იცვლება 982-დან 2112 მ-მდე. ეს ყველაზე ელჭექსაშიში ზონაა საქართველოში. ელჭექიან დღეთა რიცხვის საშუალოს მაქსიმუმი აღწევს 59-ს, ხოლო მინიმუმი უდრის 33-ს. ადსანიშნავია, რომ კარწახში და ეფრემოვაში დაკაირვებათა რიცხვი არის წლები, როცა ელ.დ.რ.-ი 95-96 აღწევდა.



საშუალოდ ერთ სადგურზე წელიწადში მოდის 50 ელტექნიკი და მათი ცვლილების საზღვრებია 21+81. ეს ზონა დაცულია აღმოსავლეთი მთიანია შემოჭრებისგან სამხარისა და ჯავახეთის ქვედებით. დასავლეთიდან მოსულ პარკის მასებს კი თითქმის არ მოაქვთ ტენი. კლიმატი მთიანია და მშრალი.

ცხრილის ანალიზი გვიდასტურებს, თუ რამდენად რთულია ელტექნიკი აქტივობის ბუნება და რამდენად რთულდება იგი რთულ ოროგრაფიულ პირობებში.

ელტექნიკი დღეთა რიცხვის მონაცემთა კომპიუტერული ბანკის გამოყენებით აგებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში ელ.დ.რ-ის სიხშირის რუკა (სურ2).

დაკვირვებათა რიგის მდგრადობის დასადგენად უველა მეტეოსადგურისათვის გამოთვლილია ვარიაციის კოეფიციენტები. ძირითადში დაკვირვებათა რიგები მთელი პერიოდისათვის მდგრადია 20%-დან - 35%-მდე.

იმისათვის, რომ დადგენილიყო ელტექნიკი დღეთა რიცხვის ტრენდი, მთელი დაკვირვებათა პერიოდი (1936-1990 წწ.) გაიყო ქრონოლოგიურად ორ თანაბარ ნაწილად - 1936-1962 წწ. და 1963-1990 წწ. ტრენდის არსებობის დასადგენად გამოყენებულ იქნა სტიუდენტის ჰ კრიტერიუმი:

$$t = \frac{\bar{x} - \bar{y}}{\sqrt{\frac{(n_1 - 1) \sigma_x^2 + (n_2 - 1) \sigma_y^2}{n_1 + n_2 - 2}}} \cdot \sqrt{\frac{n_1 \cdot n_2}{n_1 + n_2}},$$


რომლის საშუალებითაც დადგინდა ტრენდის არსებობა თითოეული მეტეოსადგურისათვის. მიღებული შედეგები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში (ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება ელტექნიკობის რეჟიმის ცვლილება - სადგურების 51%-ზე ცვლილების ტენდენცია არსებობს, მათ შორის 40%-ზე დადგითია და 11%-ზე უარყოფითი. გარკვეული სიზუსტით შეიძლება აღინიშნოს, რომ უკელაზე დიდი დადებითი ტრენდებია (20 დღეზე მეტი) კარწახში და ბოგდანოვკაში, უარყოფითი კი - ჯვრის უღალტებილზე - 15 დღემდე კლიმატური ზონების მიხედვით აღინიშნება შემდეგი:

- V კლიმატური ზონის მეტეოსადგურების თითქმის 60%-ზე აღინიშნება ცვლილების ტენდენცია;

- VI კლიმატურ ზონაში სადგურების 43%-ზე არსებობს დადებითი ტრენდი;

- VII და XI ზონებში სადგურების მხოლოდ 25%-ზე აღინიშნება ტრენდის არსებობა;



სურ. 2

ადმინისტრაციული საქართველოში ეთნიკური დოკუმენტის წლიური ხილშირის რუსი.

- X და XIV კლიმატური ზონების სადგურების უმეტეს რაოდენობაში უღღდრის დადგებითი ტრენდი არსებობს;

- XII კლიმატური ზონის სადგურების 33%-ზე აღინიშნება უარყოფითი ტრენდი;

- XV ზონის სადგურების 75%-ზე დადგინდა უღჭევებიან დღეთა რიცხვის კვლილების ტენდენცია, უმეტეს შემთხვევაში დადგებითი

### ცხრილი 2

აღმოსავლეთ საქართველოში ელექტრიან დღეთა რიცხვის ტრენდები 1936-1962 და 1963-1990 წლების თბილი პერიოდებისათვის

რეგიონი კლიმატური ზონა აღმოსავლეთ საქართველო (მიუდინ ტემპირია)	შემცირდებულის რაოდენობა	დადგებითი ტრენდი (+) %	უარყოფითი ტრენდი (-) %	ნაკლები ტრენდი (0) %
V	53	40	11	49
VI	7	41	—	57
VII	4	25	—	75
X	2	50	—	50
XI	4	25	—	75
XII	3	—	33	67
XIV	8	37	13	50
XV	8	62	13	25


მიმართულებით.

ცხრილიდან 2 ასევე ჩანს, რომ იმ კლიმატურ ზონებში, სადაც მეტეოროსადგურების რაოდენობა უფრო დიდია, ტრენდის არსებობის აღბათობა მეტია. ეს გვაძლევს უფლებას კივარაუდოთ, რომ მეტეოროსადგურების უფრო ხშირი ქსელის არსებობისას შესაძლოა ტრენდების პროცენტი უფრო მაღალი ყოფილიყო.

მიღებული მონაცემების და გამოთვლების გამოყენებით აგებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოში ელექტრიან დღეთა რიცხვის ტრენდების სქემატური რუკა (სერ. 3).

ელექტრიანობის რეკომის ცვლილების მიზეზი შეიძლება იყოს ზოგადი ატმოსფერული ცირკულაციის ცვლილება, თერმოდინამიკური პირობების ცვლილება და ასევე ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა.

როგორც [12] ნაშრომიდან გამომდინარეობს, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთიდან არქტიკული ანტიკი-



სურ. 3

აღმოჩეული საქართველოში ყოჭყქიან დღეთა რიცხვების ტრენდების რუკა. (განხილული პერიოდები -  
 1936-1962 და 1963-1990 წლების თბილი პერიოდები).



ლონერი შემოჭრები, რომლებსაც ცივი პაერის მასები შემოაქეთდნენ საქართველოში, ბოლო 20 წლის მანძილზე შემცირდა. ამან გამოიწვია თერმული რეჟიმის შეცვლა - დასავლეთ საქართველოში აცივდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი აშკარაა დათბობის პროცესი [13-15].

მაშასადამე, ელტექნიკის დღეთა რიცხვის ტრენდების არსებობა ნაწილობრივ მაინც გამოწვეულია ზოგადი ცირკულაციის მიმდინარე ცვლილებით.

თუ შევადარებთ ელ.დ.რ-ის ტრენდების რუქას პაერის მიწისპირა ტემპერატურის ტრენდების რუქასთან [13], დავინახავთ, რომ მათზე ელტექნიკის დღეთა ტრენდების არები გმთხვევა იმ არებს, სადაც აღინიშნება ტემპერატურების კონტრასტული ცვლილება, როგორც სიდიდით, ასევე მიმართულებით. მაშასადამე, ელტექნიკის დღეთა რიცხვის ტრენდის არსებობა დაკავშირებულია თერმული რეჟიმის ცვლილებასთან.

ათოროპოგენური ფაქტორებიდან, [13]-ის თანახმად, ელტექნიკიანობაზე გავლენას ახდენენ: ღრუბლებზე ზემოქმედება, აეროზოლური გაჭუჭყიანება და სხვა. როგორც ჩანს რუქა 3-ზე დადებითი ტრენდების არები საკმაოდ კარგად ემთხვევიან იმ ტერიტორიებს, სადაც 70-80 წლებში ტარდებოდა ინტენსიური ზემოქმედება სეტკვის ღრუბლებზე.

